# პიონერი

იანვარი 1 1962



ეროვნული ბიბლიოთეკა
140/962/2
13
140/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო



სიმონ მამფრიანი

ახალთ-ახალი ფიქრების,
ახალთ-ახალი მიზნების
მზრუნველი ხელით მჩარხავი,
მღიმარე, სახემზიანი,
თოვლის ფიფქების შრიალით
მოვიდა წელი ახალი.

მოვიდა წელი ახალი—
გამარჯვებების მაყარი,
მაცნე დიადი დღეების.
გული ხალისით ინთება
და ოცნებაში ბრწყინდება
მომავლის სიმაღლეები.

იმატებს ჩვენი დოვლათი,
ჩვენი პური თუ ფოლადი,
ხვავი წამოვა ზვირთებად.
შრომაში სახელიანთა,
სწავლაში სახელიანთა
უფრო იელვებს დიდება.

ვხედავთ მომავალს აქედან:
მთვარისკენ მიჰქრის რაკეტა
საბჭოთა კოსმონავტებით...
გვჯერა, იქნება ეს წელიც
ქვეყნად მშვიდობის მთესველი,
დამძლევი ომის ავდრების.

... მღიმარე, სახემზიანი,
თოვლის ფიფქების შრიალით
მოვიდა წელი ახალი
და კიდით-კიდე ირხევა
ხმაშეწყობილი სიმღერა—
მღერის სამშობლო მაღალი.

ნახ. თ. სამსონაძისა

საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

იანვარი 1 1962



## შინაარსი

ს. შამფრიანი—საახალწლო (ლექსი) . . გარეკ. . 2
ნ. რაკოვსკაია—წითელი ყელსახვევი (მოთხრობა, თარგმნა ზ. ლეშკაშელმა) . . . . . . . 2
კ. გოგიავა—პირველი ჩაის ბუჩქი (მოთხრობა) . . 4
გ. ლაზაძე—ტყისმცველის ღიმილი (მოთხრობა) . . 7
მ. სტოიანი—პორტფელი (მოთხრობა) . . . . . . 10
რ. პერკინა—რკვიაში ლალისფერი ვარსკვლავი კიაფობს (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . 11
მ. კვარაცხელია—ოთხი პიონერხელმძღვანელის ქუჩა (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . 12
ლ. სტვილია—გორდა ცხენი (მოთხრობა) . . . . 14
მოსწავლეთა შემოქმედება . . . . . . . 16
ნორჩ მეოჯახეთა კლუბი—(საუბრები ც. ელიგულაშვილისა და ლ. პაიჭაძისა) 18
თ. ცალქალამანიძე—მაგდანას ქალი (წერილი) . . 20
ჩვენ 17 000 000 ვართ (პიონერული ამბები) . . 21
ტიმოთეს მთვარეზე ახტომის ამბავი (ინგლისური ხალხური ზღაპარი, თარგმნა თ. სულხანიშვილმა) . . . . . . . . . . . . . . . . 22
კარელ ჩაპეკი—ბედნიერი დღეები (ზღაპარი, ჩეხურიდან თარგმნა ე. ერისთავმა) . . . . . 23
პ. ანიკსტერი—სპილოზე მონადირე (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა ლ. ასათიანმა) . 27
თ. გიორგაძე—პრეტენდენტი № 1 (წერილი) . . . 29
ს. იორამაშვილი—გმირების მოსაგონებლად (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . . . 30
ვლ. ნავროზაშვილი — სიახლე საგზაო-სასიგნალო ნიშნებში (წერილი) . . . . . . . . . . . . 32

გარეკანის მხატვრობა—**გ. გელოვანისა.**

ჟურნალი გააფორმეს მხატვრებმა: **თ. სამსონაძემ, მ. დაუშვილმა, რ. ცუცქირიძემ, არ. შავიანიძემ, ჯ. ლოლუამ, ე. ამბოკაძემ, ნ. შალიკაშვილმა, დ. ხახუტაშვილმა და გ. ფოცხიშვილმა.**

რედაქტორი **რევაზ მარგიანი**
სარედაქციო კოლეგია: **შ. ბერიანიძე, მ. ლებანიძე** (პ/მგ. მდივანი)
**მარიჯანი, რ. ქორქია, რ. ელანიძე, გ. ფოცხიშვილი** (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის XXXVI წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# წითელი ყელსახვევი

ნ. რაკოვსკაია

ჩვენი კლასის ბავშვებს დიდი ხანია პიონერებად გახდომა სურდათ. მეც კი, ყველაზე დიდი რომ ვარ ტანად (ისე კი ცხრისა ვარ) უყელსახვევოდ დავდივარ.

ახალ სახლში რომ გადავედით, მეზობელ ბინიდან გამოსულ ქალს შევხვდი კიბეზე. ამბობენ გაზეთში მუშაობსო. რაღაც მორიდებული, წყნარი ქალია.

ჰოდა, გამიღიმა და მკითხა:

— სად არის შენი ყელსახვევი?

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ვუპასუხე:

— მე ჯერ პატარა ვარ.

სისულელე ვთქვი: ჩემს თავს პატარად სულაც არა ვთვლი.

ერთი სიტყვით, ამის შემდეგ ძალზე მეუხერხულებოდა მეზობელთან შეხვედრა და თითქოს ჩემს ჯინაზე მაინც ყოველდღე ვხვდებოდი მას.

მაგრამ აი, ერთხელ სკოლიდან მოვირბინე, ლიფტისათვის არ დამიცდია, ერთი სულის ამოთქმით ავირბინე მეცხრე სართულზე. ვრეკავ—არ მიღებენ; მუშტებიც კი დავცხე კარს.

— რა ამბავია, რა მოხდა? —გამიწყრა ბებია.

— პიონერად მიღებენ! —ვიყვირე ყველას გასაგონად.—გაიგეთ?! მე კი ყელსახვევი არ მაქვს. მთელ საღამოს ვფუსფუსებდი: ვაპრიალებდი ფეხსაცმელებს, ვწმენდდი ტანსაცმელს...

დილით ალიონზე გავაღვიძე ყველა:

— წამყევით, ყელსახვევი ვიყიდოთ.

ყველა ამბობს, რომ მე ძალზე მოუთმენელი კაცი ვარ. განსაკუთრებით არ მიყვარს, როდესაც მაღაზიაში, დახლთან დიდხანს არჩევენ ხოლმე რამეს. ახლა კი უცებ, თვითონ გავხდი წუნია. ერთი ყელსახვევი გვერდელაა, მეორეს კიდე არა აქვს სწორი. დედა გაწყრა კიდეც.

ბოლოს, როგორც იქნა, ავირჩიე ყველაზე წითელი ყელსახვევი: მსუბუქი, აბრეშუმის ყელსახვევი!

გაკვეთილზე სარგადაყლაპულივით ვიჯექი. გაკვეთილების შემდეგ კი დარბაზში შეგვიყვანეს და გაგვამწკრივეს. ისე ვღელავდი, რომ მთლად გამიშრა ყელი. პიონერხელმძღვანელმა პიონერული საზეიმო დაპირების კითხვა დაიწყო, „მე ნორჩი პიონერი“...—ვიმეორებდით ჩვენ ერთხმად. ხმამაღლა ვიმეორებდით, ისე, რომ ყველა დაგვერწმუნებინა, რა მტკიცედ ვიცოდით პიონერული ფიცი. შემდეგ ყელსახვევი გამიკეთეს.

— მზად ვარ!—ვთქვი მე. ხელი ავწიე და პიონერულად მივესალმე.

პალტოგახსნილი ნელა მივდიოდი შინ. მივდიოდი და სულ აქეთ-იქით ვიყურებოდი. ხედავენ ჩემს ყელსახვევს?.. და შემთხვევაც ასეთი უნდა: სწორედ ზედ კიბეზე იმ ხანშიშესულ ჟურნალისტს შევხვდი. გამიღიმა:

— მიგიღეს?

პალტო კიდევ მეტად გავიხსენი.

— ხედავთ? ყელსახვევი...

სახლში შემიპატიჟა.

შევედით, დავსხედით. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, ხშირად ახველებდა, მაგრამ როგორ ჰყვებოდა! ჩემს დღეში არ დამავიწყდება.

—ეს დიდი ხნის წინათ მოხდა. თითქმის ორმოცი წლის წინათ,—დაიწყო მან,—პატარა, მიყრუებულ სოფელში. მოსკოვამდე არც ისე შორს იყო, მაგრამ იქამდე მისვლას აძნელებდა ცუდი გზა, ტყე, ხრამები. სოფელი ჩაშავებული სახლებით, სერზე იდგა. ძირს მდინარე ჩაუდიოდა სუფთა, ჩუხჩუხა, სილიან ფსკერზე თეთრი ქვებით მოფენილი მდინარე. სოფელს გოლევო ერქვა, მდინარეს კი—ჟურიცა. ამ სოფელში რევოლუციამდე ყველაზე დაჩაგრული და ღარიბი ხალხი ცხოვრობდა.

სამაგიეროდ ოქტომბრის შემდეგ გოლევოს იმ მოედანზე, სადაც ნაბათი იდგა, წითელი დროშა გამოჰკიდეს, თუმცა იქ ჯერ კიდევ სულ უპარტიოები ცხოვრობდნენ.

„როდის გვეყოლებიან ნეტავი ჩვენი კომუნისტები?“ — უფროსებიც და პატარებიც ამაზე ლაპარაკობდნენ. სულ ყველაზე მეტად გრიშა შაპინი ღელავდა. იგი მეთორმეტე წელში იყო გადამდგარი, ბეზიასთან, სოფლის განაპირას, ძველ დანგრეულ ქოხში ცხოვრობდა. მამა ომში მოუკლეს. დედა ჭლექმა იმსხვერპლა. გარშემო სულ ღარიბები ცხოვრობდნენ, მაგრამ გრიშა და ბებიამისი ყველაზე ღარიბები იყვნენ.

ბოლოს, არმიიდან დაბრუნდა გოლევოში პირველი კომუნისტი ძია სტიოპა. გრიშა შაპინი ფეხდაფეხ დასდევდა მას. ძია სტიოპამ თავის სახლში ქოხ-სამკითხველო გახსნა, „კომბედი“—ღარიბთა კომიტეტი შექმნა. მეზობელ ქალაქში მან გაიგონა, რომ მოსკოვში პიონერთა რაზმი შეუქმნიათ და პიონერები უფროსებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ეხმარებიანო.

გოლევოში პიონერული ორგანიზაციის შექმნა გადაწყვიტეს. მომავალ პიონერებს ძია სტიოპამ კვირას თავის სახლში თავმოყრა დაავალა. გრიშა ქოხიდან ქოხში დარბოდა და ბავშვებს მოუწოდებდა. მის მოწოდებას პირველად მისივე მეგობრები გამოეხმაურნენ: წითელარმიელის ძმა—მიტია; ტიმოფეი—ძია სტიოპას ნათესავი, სენკა, რომლის მამაც ციხეში მოკვდა მეფის დროს. ზოგს მშობლებმა აუკრძალეს, ზოგნი თვითონ შეშინდნენ.

წითელი ყელსახვევის ტარება მაშინ იოლი საქმე როდი იყო!

ბავშვებმა დიდი ყელსახვევების შეკერვა გადაწყვიტეს. ერთს წითელი ნაჭერი აღმოაჩნდა სახლში, მეორე მეზობელ სოფელში გაიქცა და კოოპერატივში იყიდა.



გრიშა ყელსახვევზე არაფერს ამბობდა. უკანასკნელ დღეს სდუმდა, სულ მოწყენილი დადიოდა. კვირა დილას კი პატარა ფუთით სადღაც გაიქცა. სად? არავინ იცოდა. ნაშუადღევს აქოშინებული და დამტვერილი დაბრუნდა.

შეირბინა იმ სახლის აივანზე, სადაც ძია სტიოპა ცხოვრობდა. შეაღო კარი და შეჩერდა. ოთახი ყაყაჩოს ველს დამსგავსებოდა—ყველას ყელსახვევი ეკეთა.

რატომ დაიგვიანე?—აუყვირდნენ მას,—ჩვენ უკვე მივიღეს. სად გაიქეცი? შეიძლება აღარ გინდა? გადაიფიქრე ხომ?..

გრიშა კედელს მიეკრა და ატირდა.

გადაიფიქრა! ვინ იცოდა, რომ იგი ათი კილომეტრის სიშორეზე, საბჭოთა მეურნეობაში გაიქცა. იქ მისი ბიცოლა ცხოვრობდა. ფუთაში კი ორი ათეული კვერცხი ედო... წითელ ნაჭერში უნდოდა გადაცვლა. ნათესავი შინ არ დახვდა.

— კარგი, ნუ წუხარ. შენც გექნება წითელი ყელსახვევი,—ძია სტიოპამ გრიშას მხარზე ხელი მოუთათუნა. კმაყოფილი პიონერები ამაყად გამოვიდნენ სახლიდან. ჟივილ-ხივილით გაიარეს სოფელში. შემდეგ ტყისაკენ გაუხვიეს. ისინი მეზობელ სოფელში მიდიოდნენ, იქ კინომექანიკოსს ახალი ფილმი უნდა მოეტანა. ყველაზე უკან მოწყენილი გრიშა მიფრატუნებდა, იგი სულ იმაზე ფიქრობდა: აი, წითელყელსახვევიანი ბავშვები შეირბენენ ხალხით სავსე დარბაზში. ყველას, ყველას წითელი ყელსახვევი ექნება ყელზე. ყველას დაინახავენ. შეხედეთ, პირველი პიონერები მოვიდნენო, იტყვიან.

ბილიკი თხელ ფიჭვნარს მიჰყვებოდა. შესანიშნავი დღე იდგა, ძირს შემოდგომის ოქროსფერი ფოთლები ეფინა და მაღლა ლურჯი ცა ლივლივებდა. გაიარეს მდინარე, გადაირბინეს ხის ხიდი და უცებ; მოსახვევში ავტომანქანა გამოჩნდა. შიგ კაცი და ქალი იჯდა. კაცს პალტო ეცვა, ყურებიანი ქუდი ეხურა. სად უნახავთ ბავშვებს იგი? რაღაც ძალზე ნაცნობი სახე აქვს... ბავშვები ავტომობილის საფეხურზე აცვივდნენ. შოფერმა მანქანა დაამუხრუჭა, კაცს გაეცინა, მხიარულად დაიძახა:

— ფრთხილად, ფრთხილად!

შემდეგ კი იკითხა:

მითხარით, როგორ გავალ გზატკეცილზე!

— გეტყვით თუ გაგვასეირნებ!—იყვირა ყველაზე თამამმა მიტიამ.

კაცს კვლავ გაეცინა. ბოლოს სერიოზულად იკითხა.

— თქვენ, როგორც ვხედავ, პიონერები ხართ! დიდი ხანია? ყოჩაღ!

— დღეიდან!—დაიყვირეს ერთხმად.

— ყოჩაღ!—გაიმეორა კაცმა.

ამ დროს გრიშას მოჰკრა თვალი.

— შენ რატომ ხარ უყელსახვევოდ? არა ხარ პიონერი?

გრიშა მობრუნდა, შეიჰმუხნა. მაგრამ აქ ბავშვები შეეშველნენ.

— იგი ობოლია!—ალაპარაკდნენ ისინი,—მას ყელსახვევისთვის ფული არა აქვს.

გრიშამ წარბებქვევიდან ახედა კაცს. ო, როგორი კარგი გაუხდა სახე—კეთილი, ალერსიანი! ბავშვებს მოეჩ-

ვენათ, რომ მას თითქოს თვითონვე შერცხვა თავისივე კითხვის.

-- მომისმინე, — უთხრა მან გრიშას, — აიღე ჩემგან ფული, აიღე ყელსახვევისათვის...

გრიშას იმისაც კი რცხვენოდა — ამხანაგებისათვის ეთხოვა, ახლა კი უცხოს გამოართმევს?! ბავშვებიც როგორ მიაჩერდნენ. მაგრამ უცნობმა ბიჭუნა თავისკენ მიიზიდა, მოეხვია და აღარ უშვებდა.

— გასესხებ მხოლოდ! — თქვა მან სერიოზულად. — მეც მისესხნია ამხანაგებისაგან, მეც გამჭირვებია. შემდეგ დამიბრუნებ... — მან ძველი საფულედან ფული ამოიღო და გრიშას გაუწოდა.

— სად მოგძებნით? — იკითხა მიტიამ, — თქვენ ალბათ მოსკოვში ცხოვრობთ.

— ჩემი მოძებნა ადვილია, — უპასუხა მან. — მე მართლაც მოსკოვში ვცხოვრობ, მქვია ვლადიმერ ილიას ძე, გვარად — ლენინი.

რა მოხდა შემდეგ? გრიშამ მაგრად მოკუმშა ფული მუჭაში. დიდხანს უყურებდა მანქანას. აი, იგი შარაზე გავიდა. აი, მიეფარა კიდევაც მოსახვევს. ლენინი დიდხანს უქნევდა ბავშვებს ხელს.

* * *

ქალი დადუმდა და დიდხანს, დიდხანს სდუმდა.

ბოლოს ჩუმად ვკითხე:

— თქვენც გოლევოში ცხოვრობდით?

— არა, — მიპასუხა მან, — მე გრიშას შემდეგ შევხვდი. ჩვენ მერე დიდხანს ვმეგობრობდით... იგი რაიკომის მდივნად მუშაობდა, პურის დამზადებაზე დადიოდა, კულაკებს მუშებისათვის პურს ართმევდა. ესპანეთში იბრძოდა. ამ ომში კი დაიღუპა. მინსკთან, ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული.

* * *

შინისკენ წავედი. მელოდებოდნენ. სასადილოდ მოვუჯექი მაგიდას.

მაგიდა საზეიმოდ გაეწყოთ... ეს იმიტომ, რომ მე პიონერად მიმიღეს.

მაგრამ მე ჩაფიქრებული ვიჯექი. ვიგონებდი იმ, სერზე გაშენებულ სოფელს, გრიშას... შინ არავისთვის მითქვამს ამაზე რამე. სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ არა მარტო გამოჩენილ ადამიანებს გადახდებათ ხოლმე არაჩვეულებრივი ამბები.

დიდხანს ვერ დავიძინე იმ საღამოს. ხოლო როდესაც დამეძინა, მესიზმრა, რომ ლუმუმბა ცოცხალი იყო და სიკვდილს იგი მე გადავარჩინე! იმ ღამეს კუბაშიც ვიყავი, ფიდელ კასტროს ვიცავდი... მანოლის გლეზოსთან ციხეში მივედი...

და ყელსახვევს ლენინთან ერთად ვყიდულობდი.

თარგმნა **ზ. ლეშკაშელმა**

# ქართველ

**ქ. გოგიავა**

ნახ. **მ. დაუშვილისა**

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაცია ლია გურგენიძის აივნიდან კარგად მოჩანს, მაგრამ არც ისე ახლოსაა, ჯერ ეკალ-ბარდებით დაფარული დაღმართი უნდა ჩაათავო, რომელსაც ნამოსახლარს ეძახიან, და მეურნეობაში ხუთ წუთში მიხვალთ.

სოფელში ამბობენ: როცა აქ სახელი იდგა და ცხოვრება დუღდა, ეზოში ჩაის პირველი ბუჩქიც ჰყვაოდაო. მას შემდეგ თითქმის საუკუნენახევრის ქარმა და წვიმამ ყველაფერი წალეკა და წარეცხა.

...იმ დილას ლია გურგენიძე ჩაის საკრეფად მიიჩქაროდა ნამოსახლარში გზას აუხვია, იფიქრა, მეურნეობაში მალე მივალო, და ბილიკს გაჰყვა. იფნებთან თვალი მოჰკრა ჩაის ბებერ ბუჩქს, რომელსაც ეკალი შემოხვეოდა და სულ დაეჩაგრა. „ეს არის პირველი ჩაი", — გაიფიქრა გოგონამ და გაახსენდა ბაბუას სიტყვები. ჯიბიდან ძმის ნაჩუქარი ჯაყვა ამოიღო, ეკლების მიჯრა-მოჯრაში ბევრი ეწვალა, მერე სიპი ქვით ძირები ჩაუჩეჩქვა, რომ ისევ არ ამოეყარა, და გზა განაგრძო.

— შენს ხელებს კი ვენაცვალე! — მიაძახა ბუჩქმა.

ლია უკვე კვალში იდგა და შემოსულ დუყებს მარჯვედ კრეფდა. მალე ამხანაგებიც ამოუდგნენ გვერდში.

— ლია, ჩვენ ყველას უნდა ვაჯობოთ, — უთხრა ერთმა.

— კი, როგორ არა, შენ თუ ასე დაიგვიანე, ვაჯობებთ! — მიუგო ლიამ.

ლია დიდი ხანი არ არის, რაც პიონერული რგოლის ხელმძღვანელად აირჩიეს. „მე თუ მაგალითი არ ვაჩვენე, აბა, რისი ხელმძღვანელი ვარ", — ფიქრობდა ლია და ადრე მოდიოდა სამუშაოდ. პატარა, ფუნჩულა ხელები ჩაის კრეფაში გაწაფული ჰქონდა. თავისუფალ დროს ყოველთვის დედის გვერდით, პლანტაციაში ატარებდა; ხან ფერად-ფერად პეპლებს დასდევდა, ხან კუტკალიებს იჭერდა, ხანაც დედას ეხმარებოდა ჩაის კრეფაში.

ამიტომ ახლა ლიასთვის უცხო არ იყო ეს გადაბიბინებული პლანტაცია. იცნობდა ჩაის ბუჩქებს, ეხერხებოდა დუყების კრეფა და ამხანაგებს მალე გაუსწრო. გუშინ მეურნეობის დირექტორმა პლანტაციებში გამოიარა, ადრე იყო, ლია მარტო მუშაობდა.

დირექტორმა თავისი თეთრი ცხენი ლიას წინ შეაჩერა.

— გამარჯობა შენი, ე მასე, ყოჩაღ, ჩემო ლია, ყოჩაღ!

ლიამ თავი დახარა, ჩაის ყვავილივით თეთრ ლოყებზე ალმური მოედო. შერცხვა? არა, გაეხარდა, მკაცრმა დირექტორმა რომ შეაქო. ლიას ვანო მკაცრ კაცად ჰყავდა წარმოდგენილი. ლიამ რომ პირველად დირექტორის კაბინეტის კარი შეაღო; ვანო ვიღაცას ეჩხუბებოდა. შეკრთა ლია, დაიბნა, ვერც დირექტორისაკენ გადადგა ნაბიჯი და ვერც უკან გამობრუნდა, შუა ოთახში გაშეშებული იდგა. ვანომ გვიან მიაქცია ყურადღება.

— რა გნებავს, ბიძია?

ლიამ ენა ვერ დაძრა, სამაგიეროდ წინასწარ დაწერილი განცხადება მიაწოდა.

დირექტორმა თვალი გადავლო რვეულის ფურცელს და ისევ იმ კაცს მიუბრუნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩაის ბუჩქი

— აი, ეს ანგელოზი სამუშაოს მთხოვს, მეხმარება, შენ კი ამ გაწამაწიაში მღალატობ?!

ლია დირექტორის კაბინეტიდან მხიარული გამოვიდა. იმ დღეს აგრონომმა მის რგოლს პლანტაციაც მიუზომა, აი, აქ მოკრეფთ ჩაისო. საქმე კარგად აეწყო, მაგრამ ლიას სულ თვალწინ ედგა დირექტორი. უი, რა მკაცრი კაციაო, უთხრა მან თავის ამხანაგებს. ახლა ამ მკაცრ კაცს სახე ღიმილმა გაუბადრა, ცხენიდან მარდად გადმოხტა, ჩაის ბუჩქებს გახედ-გამოხედა, მერე ლიას წელზე ჩამოკიდებულ პატარა კალათში ხელი ჩაყო, ღუყებს აურდაურია.

— ყოჩაღ, გენაცვალე! ამ თვეში ყველაზე მეტი გაქვს მოკრეფილი, — და ჯიბიდან წითელ ქაღალდში შეხვეული კამფეტები ამოიღო, ლიას კალათში ჩაუყარა, — პირი გაისველეო.

დირექტორი რომ წავიდა, ლიამ ინატრა, რომ ნეტავ დედა ყოფილიყო აქ, თავისი ყურით გაეგონა, მისი პატარა ქალიშვილი როგორ შეაქო ჭაღარა დირექტორმა.

ლიამ თითო-თითო კამფეტი ამხანაგებს მისცა, ერთიც დედას მიაწოდა, მაგრამ კამფეტზე უფრო ტკბილი იყო დედისათვის, რომ უთხრა დირექტორმა შემაქოო.

მზე გადაიხარა, პლანტაციის იქით, გორაკების ბოლოს ხანძარივით აბრიალდა და შემდეგ თანდათან მიჰქრა და მიიმალა. ნიავმა ბუჩქებს აუარ-დაუარა, თან სასიამოვნო სურნელი და სიგრილე მოიტანა.

ლიას რგოლმა მუშაობა დაამთავრა. გოგონები მანქანას გაჰყვნენ, ლია კი მარტო წამოვიდა შინ. გზაზე, დილას რომ ეკალი შემოაცალა, იმ ბუჩქმა შეაჩერა.

— ოჰ, ჩემო გოგონა, რა მადლობელი ვარ შენი, — დაიწყო ბუჩქის დედაღერომ, რომელიც ყველაზე მაღალი და მსხვილი იყო, — აბა, რით გადაგიხადო პატივისცემა, მე ბებერს რა შემიძლია?

ლია განცვიფრებული შეჰყურებდა დედაღეროს.

— მე პატივისცემა არ მინდა, ძირსაც შემოგიბარავ, სასუქსაც მოგცემ! — ძლივს მიუგო შემკრთალმა ლიამ.

— ჩემო კეთილო, დიდი ხანია ერთ საიდუმლოს ვინახავ, ბევრჯერ დავაპირე თქმა, მაგრამ ვერავის გავაგონე, მომერიდა, მასხარად არ ამიგდონმეთქი. შენ კი, გეტყვი, გატყობ კეთილი გოგონა ხარ. მომისმენ?

— როგორ არა, ბრძანეთ!

— გრძელი ამბავია, დაიღლები, ქვაზე ჩამოჯექ.

ლია ქვაზე ჩამოჯდა და გულისყური იმ უცნაურ ბუჩქს მიაპყრო.

— დიდი ხნის, ძალიან დიდი ხნის წინათ, მგონი 1833 წელს ჩამოვედი ჩინეთიდან. უფრო სწორად რომ მოგახსენო, ჩაის ნერგები იმ წელს თავადმა მიხეილ ვორონცოვმა გამოიწერა ჩინეთიდან. ჩვენ ბევრნი ვიყავით. ვორონცოვმა ნერგები სამად გაჰყო: ნაწილი სომხეთში გაგზავნა და ნაწილიც სოხუმის ბოტანიკურ ბაღში. მე იმ ნაწილში მოვხვდი, ყირიმში რომ გაგზავნა, თავის მამულში. მაგრამ ზღვაზე უცნაურად დატრიალდა ჩემი ბედი. ქარიშხალმა გემი დაამსხვრია და ტალღებმა ჩაქვის ნაპირზე გამოგვრიყა. იქ კი ახალი პატრონი გამიჩნდა. მთავარმა გურიელმა ბრძანა, ეს უცნაური

მცენარე ჩემს მამულში დარგეთ, ვნახოთ აბა, რა ნაყოფს მოისხამსო. ჩვენ ბევრნი ვიყავით, გურიელის მამულში ვაშლის ხეების გვერდით ჯარისკაცებივით ჩაგვამწკრივეს. ნოყიერ მიწაში კარგად გავიდგით ფესვები, გავიხარეთ. მოვიდა ზამთარი, არც ერთ მცენარეს ფოთოლი არ შერჩა, ჩვენ კი ისევ მწვანედ ვხასხასებდით. გაეხარდა გურიელს: ეს, რაღაც კარგი მცენარეაო, და ჩემი მეგობრები პირველსავე გაზაფხულზე გაასაჩუქრა. ზოგი ჩოხატაურში გაუგზავნა ერისთავს, ზოგიც ზუგდიდში დადიანს. არ ვიცი მათ რა ბედი ეწიათ, მე კი ცუდ დღეში ჩავვარდი. ჩემს ირგვლივ, ვაშლი, მსხალი, კომში, ბალი, ლეღვი, ატამი და კიდევ მრავალი და მრავალი ხილი ხარობდა, გურიელი პირს იტკბანურებდა, მაგრამ ჩემს პატარა, შავ მარცვალს რომ კვნეტდა, გული მოსდიოდა: ფუ, ეს რა საჭმელიაო!

ჩემი გემო გვიან გაიგო. ხანკოუდან კიდევ ჩამოგვივიდნენ დობილები. 1865 წელს ჩაქვში გაჩნდა ჩაის პირველი პლანტაცია, შემდეგ სალიბაურში ჩაის პირველმა ფაბრიკამ კვამლი აუშვა და პირველი ქართული ჩაი სუფრაზე მიიტანეს.

მაშინ, მოგეცა სიკეთე!— მეც მომაქციეს ყურადღება. თესლი დროზე ამაცალეს, ფხვიერ მიწაში ჩათესეს და მალე ჩემი შვილებით რომ მიდამო გადაბიბინდა, თავი ბედნიერად ჩავთვალე. არ მიგრძვნია სიბერე როგორ წამომეპარა.

ლია ჩაის პირველი ბუჩქის ისტორიამ ჩააფიქრა. „ამ საბრალოს რამდენი გზა გამოუვლია! — გულში თქვა მან, — არც ზღვას მოუსწრაფია მისთვის ნანატრი სიცოცხლე და არც აქაურ მიწას!“

ლია მიუახლოვდა მცენარეს, მის ფოთოლს ხელი გადაუსვა და თან ჩუმად უთხრა:

— კარგი, გენაცვალე, რადგან აქამდე სული მოიტანე, აწი მე ვიცი, ცივ ნიავს არ მოგაკარებ!

— გმადლობთ!

მეორე დღეს ლიამ ამ მივიწყებულ მცენარეს ირგვლივ მიწა შემოუბარა, გამხმარი ტოტები მოაჭრა და ძირში სასუქიც შემოაყარა, ჩაის ბუჩქმა გამრჯე გოგონას დიდი მადლობა გადაუხადა, თან ქვეყანაზე ჩაის გაჩენის ძველთაძველი ლეგენდა უამბო.

— ცხოვრობდა უძველეს დროს ჩინეთში, ღვთის მორწმუნე ტა-მო,—დაიწყო ბუჩქმა,—სასტიკი ფიცი დასდო მეფის წინაშე, ოღონდ სამოთხეში მოვხვდე და დღე-ღამ ვილოცებო. აი, შეუდგა თავის ფიცის შესრულებას, ილოცა ერთი დღე, მეორეც, მაგრამ მერე ვერ გაძლო და მკვდარივით დაეძინა, თავის თავზე ჯავრი მოერია. კვლავ, რომ არ დასძინებოდა, ორივე თვალის წამწამები მოიჭრა და გადაყარა... წამწამებმა მიწაში ფესვი გაიდგა და მშვენიერ მცენარედ იქცა. ტა-მომ ამ მცენარის ფოთლები მოხარშა და მისი წვენი დალია. ძალიან ესიამოვნა ეს სურნელოვანი წვენი, რომელმაც მას ძალ-ღონე შემატა. გამაგრდა დაუძლურებული მოხუცი. ნერგები თავის მეზობლებს მისცა. მალე მთელ ჩინეთს მოეფინა ამ იშვიათი მცენარის ბაღები. ჩაის მიეძალა დიდი და პატარა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი ლიამ თავის რგოლის წევრებს უამბო. დაინტერესდნენ გოგოები: სოფელში მიიკითხ-მოიკითხეს საქართველოში ჩაის შემოტანის ისტორია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში იყვნენ, იქ სწავლულებმა ბევრი წიგნი და ცნობა მიაწოდეს. შეამოწმეს ლიას აღმოჩენილი ხის წლოვანებაც და შემდეგ ჩაის ბებერ ბუჩქთან რკინის ბოძი აღიმართა. ბოძს თუნუქის ფირფიტა ჰქონდა მიკრული ფირფიტაზე წითელი ასოებით ეწერა: „ჩაის პირველი ბუჩქი, დარგული 1883 წელს“.

ეს ლიას რგოლის ნახელავი იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყისმცველის ნავები

გიორგი ლაბაძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა

მოთხრობა



ნაფეხურები დილის ცვარით დასველებულ მინდორზე მკვეთრად ემჩნეოდა. ბიჭი ნელა მიდიოდა. დრო და დრო თავს უკან მოაბრუნებდა, გადახედავდა თუ როგორ სწორდებოდნენ გათელილი ბალახები, და ისევ გზას განაგრძობდა. მხარზე ჩანთა ეკიდა, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე ცალი რვეული ედო და მშიერი კაცის მუცელს უფრო წააგავდა—ჩავარდნილს და გამოლაწლაწებულს.

„ნეტა, რატომ გამიჯავრდა დღეს მამა?“ – გაიფიქრა ბიჭმა და ტყისაკენ გადაუხვია. „ალბათ, ისევ ცხვირამ გაახელა“. ჯიბიდან ვაშლი ამოიღო და მოკბიჩა. ეს ვაშლი მაკრინე ბებიას ვაშლისა იყო. ტოტები ორღობეში აქვს გადმოსული და წელან რომ ამოიარა, სულმა წასძლია, ესროლა და ჩამოაგდო. მერე მეორესაც დაუმიზნა, მაგრამ ქვა ვაშლს ასცდა და სახლის სახურავზე მოადინა ბრახვანი. ბიჭმა მაშინვე მოკურცხლა. თუმცა გზაში მაინც გაიგონა მაკრინე ბებიას წყევლა:

— აი, შენ გაგიხმა მაგ ხელი, შენ არ გაეზარდე შენს პატრონს, შენ არ გიჭამია მაგის მეტი!

„კარგი ვქენი დღეს სკოლაში რომ არ წაველი,—გაიფიქრა მან,—წეროს ახლა“. ვაშლის ნაღეჭური იქვე მუხის ტოტზე შემომჯდარ ყვავს ესროლა. ყვავი დროზე მიუხვდა, აფრინდა და ყრანტალით მეორე ტოტზე გადაჯდა.

ბიჭი მასწავლებლის გახსენებამ უსიამოვნო ხასიათზე დააყენა. „ისიც არის რაღა!—გაიფიქრა მან.—„ადექი, არ იცი? ორი! ცხვირს ჟურნალში ჩარგავს და მორჩა. არც გკითხავს რატომ არ იცი, რამ შეგიშალა ხელი“.

ტყეში სიჩუმე იყო. ბიჭმა დაუსტვინა. იქვე, ბუჩქებიდან, დაფეთებული შაშვი წამოვარდა და ჭახჭახით გაფრინდა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

ბიჭმა ისევ დაუსტვინა. ახლა ყვავი აყრანტალდა, ბარდში რაღაცამ გაიშლიგინა, პაატარ ჩიტუნები ატკრციალდნენ.

— კარგი ვქენი, დღეს სკოლაში რომ არ წაველი!—გაიმეორა ხმამაღლა. მერე ფერდობი ჩაირბინა და ღელისპირას ჩამოჯდა. ღელე სუფთა იყო, კამკამა. შიგ ხეთა კენწეროები და ცის ლურჯი ზოლი მოჩანდა, ჩუმი ლიკლიკით მიედინებოდა. ალაგ-ალაგ ქვებს ახტებოდა და პატარა ჩქერებს იკეთებდა.

ბიჭმა ჩანთა გახსნა. იქედან სუფთა რვეულ ამოიღო და შუა ფურცელი ამოხია. მერე ისევ ჩანთაში ჩადო. ფურცლისაგან პატარა ნავი გააკეთა და წყალში ჩაუშვა. წყალმა მაშინვე მოიტაცა იგი და ჩქერებზე მსუბუქი რწევით დაბლისაკენ გააქანა. ბიჭი უყურებდა მიმქროლავ სიფრიფანა ნავს და ოცნებობდა ნამდვილ ნავზე, საკუთარ აფრიან ნავზე.

აფრა!.. აფრა!..

გაბერავს ქარი, დაჭიმავს და მორჩა. გადასერავს ზღვებს, ოკეანეებს, მოივლის მთელ ქვეყნებს, გოლიათების, ქონდრის კაცების, დევების და კაციჭამიების ქვეყნებს. ათასი ფათერაკი, ათასი თავგადასავალი და მაინც გამარჯვებული ბრუნდება შინ.

აფრა!.. აფრიანი ნავი!..

მძიმედ წამოდგა. ჩანთა მხარზე გადაიკიდა და ზემოთ აუყვა ფერდობს. სამანქანო გზაზე, რომელიც ტყეს შუაზე სჭრიდა, ორი კაცი შემოხვდა. ერთი მაღალი იყო, აწოწილი. მეორე კი საშუალო ტანის, ქერა მამაკაცი. ისინი ტკბილი მასალაათით მიდიოდნენ. ქერას ვეებერთელა, მუცელგამობერილი ჩანთა ეჭირა და ხელის მოძრაობის რიტმს აყოლებდა. ბიჭმა ჯერ თავის ჩანთას დახედა, მერე უცნობისას და გაეღიმა. ცალ ფეხზე ხტუნვით დაბლა დაეშვა.

შუა გზაზე ქაღალდის მოზრდილ შეკვრას მოჰკრა თვალი. მაშინვე მიირბინა და აიღო. ქაღალდს ცალი ყური ფრთხილად მოახია და უცებ გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

აა!.. ფულები!..

„ალბათ იმათ დაუვარდათ“,— გაიფიქრა მან სწრაფად და გზას გადახედა. შორს წასულიყვნენ. ხელების ქნევით რაღაცაზე საუბრობდნენ და უკან სულ არ იხედებოდნენ. ბიჭი ადგილს მოსწყდა.

— ძია!— დაიყვირა მან.

არავინ გამოხმაურებია.

— ძია!— დაიყვირა უფრო ხმამაღლა და თან სირბილს მოუმატა.— ძიაა!..

ერთმა თავი მოაბრუნა, მაგრამ ამ დროს ბიჭსა და მათ შორის ზემოდან მომავალი მანქანა ჩადგა და ვერაფერი დაინახა. ალბათ, მომეჩვენაო,— გაიფიქრა და ისევ საუბარი განაგრძო.

უცებ შედგა ბიჭი, თავში რაღაც აზრმა გაუელვა და ადგილზე მიაჯაჭვა. ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა.

„არავინ არ იცის, რომ ფული მე ვიპოვე, არავის არ დავუნახივარ,“ - გაუელვა თავში. მერე ადგილს მოსწყდა და ტყეში შევარდა. თან უკან იყურებოდა. გული გამეტებით უძგერდა. ერთხელ კიდევ მოათვალიერა მიდამო და ქაღალდი გახსნა.

უჰ, რამდენია!.. მანეთიანები, სამმანეთიანები... აგერ ხუთმანეთიანიც... ათიანი... ოცდახუთიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეშინდა— ემანდ ვინმემ არ დამინახოსო, და ახლა უფრო ღრმად შევიდა ტყეში. მონახა სამი კუთხით გაუვალი ბარდი და შიგ ჩაჯდა. ქაღალდი გაშალა და ფულის თვლა დაიწყო.

ასი მანეთი, ასორმოცდაათი, ორასი, სამასი, ექვსასი, რვაასი, ათასი... აუ, ათასი მანეთი!.. შუბლი ოფლმა დაუცვარა. ფულები სწრაფად შეახვია და ხის ფუღუროში შედო. მერე მუხლის კანკალით წამოდგა. კიდევ ერთხელ მიიხედ-მოიხედა ირგვლივ და, რა დარწმუნდა არავინ არისო, სამანქანო გზისკენ ქურდულად წავიდა. როცა მიუახლოვდა, ქვევიდან ლაპარაკი შემოესმა და გაიტვრინა.

— აქ არ გახსენი ჩანთა?— თქვა ერთმა, ალბათ, მაღალმა.

— ჰო,— უპასუხა სასოწარკვეთილი ხმით მეორემ. — ცხვირსახოცი ამოვიღე და ისევ დავხურე.— ეს ქერა მამაკაცი იყო. ბიჭმა ბუჩქებს შორის გაიჭვრიტა და დაინახა მისი შეწუხებული სახე და უაზროდ დაჭყეტილი თვალები.

— დარწმუნებული ხარ, რომ ნამდვილად აქ ამოგივარდა?

— აბა როგორ. წამოსვლის წინ ყველაფერი რიგზე იყო. ცხვირსახოცს რომ ვიღებდი, დავთვალე— ხუთი შეკვრა იდო ჩანთაში, ახლა კი ოთხია.

— ჰმ... ვის უნდა აეღო ნეტავი. წელან რომ მანქანამ ჩაგვიარა ის არ გაჩერებულა აქ და გამვლელი მგონი არავინ შეგვინიშნავს.

— როგორ არა... ბიჭი...

ბიჭს გააჟრჟოლა.

— აჰ, მართლა, კარგად არც დავკვირებივარ. ნეტა ვისი იყო?

— რა ვიცი.

ერთ ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ახლა რა ვქნა?— გაისმა ისევ სასოწარკვეთილი ხმა,— რა პირით მივიდე კანტორაში. მუშები რას მეტყვიან? ისედაც დააგვიანდა ხელფასს. ან მე რითი უნდა გადავიხადო?..





ჩაფიქრდნენ.

— მოდი, დავყვეთ კიდევ დაბლა. იქნებ აქ არ ამოგვარდნია.

— აა, ვითომ?—ქერამ იმედიანად შეხედა ამხანაგს, მაშინვე დაეთანხმა და ქვევით წავიდნენ.

ბიჭს გულში რაღაცამ დაუწყო წიწკნა, რაღაც სინანულის მსგავსმა, მაგრამ მალე ყველაფერი გადაავიწყდა. გაახსენდა, რომ უამრავი ფულის პატრონი იყო და გულაძგერებული ფუღუროსაკენ გაიქცა.

ფუღუროში ხელი შეჰყო და ვერ იპოვა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა: მერე უცებ მოაგონდა, რომ მეორე მხრიდან ჰქონდა შენახული. და თავისუფლად ამოისუნთქა. ფული გამოიღო და ერთხელ კიდევ გადათვალა.

ათასი მანეთია, ზუსტად ათასი მანეთი!.. ჰმ, რას არ იყიდის ამ ფულით... რას არ იყიდის... მაინც რას?

გაახსენდა, წეღან რომ ნატრობდა ნამდვილ აფრიან ნავს. არა—ველოსიპედი! ახლა წეღანდელი ოცნება ახირებული და არაპრაქტიკული ეჩვენა. რად უნდა ნავი? რას უზამს ნავს პაწია ღელეში? არა—ველოსიპედი! ველოსიპედი! ველოსიპედი!

მანეთიანები ცალკე დააწყო, სამმანეთიანები ცალკე... მერე ხუთიანებიც გადაახარისხა, ათიანებიც, ოცდახუთიანებიც. თვალი აუჭრელა ფულთა სიმრავლემ, გონება დაუხშო.

— ესეც ასე,— თქვა ბოლოს და ცალ-ცალკე დაწყობილი ფული ერთად შეკონა, მერე ისევ ხელმეორედ დაუწყო თვლა.

უცებ შედგა და გაინაბა. მოეჩვენა, თითქოს მის ახლოს რაღაც ჩრდილი ჩამოწვა, თუმცა არაფერი ამის მსგავსი არ დაუნახავს. ფულის დამალვა სცადა, მაგრამ ხელი გაუშეშდა, სული შეეგუბა. გული ყელში მოებჯინა. იდუმალმა შეგრძნებამ და შეუცნობელმა ძალამ რაღაც ანიშნა, რაღაც მიახვედრა და გაყინა ერთიანად. თავის ზევით აწევას ვერ ბედავდა. გრძნობდა კი, რომ რაღაც მოხდა და ახლა ცდილობდა, როგორმე წარმოედგინა ის, რაც მოხდა. გაურკვეველი წინათგრძნობით უკვე იცოდა მისი სახელი, იცოდა, რომ მის ახლოს რაღაც საშინელი მოლოდინის ჩრდილი იწვა, მაგრამ ამაზე ფიქრს ვერ ბედავდა და თავდახრილი, გარინდებული იდგა.

ბოლოს თავი აიღო. პირველად თვალები დაინახა, დიდი, მკაცრი თვალები, რომლებიც მის ხელებს მიშტერებოდნენ. მერე თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. მაღალი იყო. პირისახე გამხდარი ჰქონდა და ყვრიმალის ძვლები უჩანდა. ეცვა რეზინის ჩექმები და დაბამბული ქურთუკი. მხარზე თოფი ჰქონდა გადაკიდებული.

„ალბათ, ტყისმცველია“,—გაუელვა თავში ბიჭს. წელში მოკაკულიყო, დაპატარავებულიყო და [illegible] დაჭყეტილი შესცქეროდა უცნობს, როგორც უცნაურ ბედისწერას, სიკვდილის მოციქულს და შეიძლება თვით სიკვდილსაც.

უცნობი მისკენ წამოვიდა. ფეხის ხმა ისმოდა მძიმედ და შორიდან. მერე თანდათან მოახლოვდა, მოახლოვდა და ყურებში თავბრუდამხვევ გუგუნად ჩადგა.

უცნობი სულ ახლოს შედგა. ბიჭი კიდევ უფრო დაპატარავდა. იგი ახლა ქვემოდან შესცქეროდა მის გამხდარ სახეს, დანაოჭებულ შუბლს და ღრმად ჩაწეულ თვალებს. დაჭიმული და შეკუმშული იყო და ელოდა... ელოდა პირველ დარტყმას, რომე-



ლიც ცნობიერებას დაუკარგავდა. მერე კი... მერე ყველაფერი სულერთი იყო.

თვითონ მოიქცია თავი ჩიხში და ახლა აღარაფერი აღარ რჩებოდა, გარდა თავზარდამცემი მოლოდინისა. გარშემო გაუვალი ეკლის ბურდები ერტყა. გაქცევაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

აი, ასწია ხელი უცნობმა. ეს იყო დიდი, უხეში, მუშაობისაგან დაკოჟრებული და გაშავებული ხელი. ამ ხელმა დაჰფარა ბიჭის სახე, ტყე, მინდვრები და ბოლოს მთელი ქვეყანა-ბიჭმა თვალები დახუჭა და, როცა გაალო, ხელი უკვე მისი სახის წინ. აღარ იყო. ის მის თავზე იდო მძიმედ. და თმებზე ხაოიანი ხელის გული ეხებოდა. მერე კი სულ მოსცილდა. ნაბიჯები ახლა უკანიდან მოისმოდა, სულ ახლოს, მერე თანდათან დაშორდა, დაშორდა და ბოლოს სულ მიწყდა.

ბიჭმა ფულს დახედა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში სულ გადავიწყებოდა. ქაღალდი შემოახვია და ჯიბეში ჩაიდო.

რატომღაც რუსულის მასწავლებელი გაახსენდა. ერთხელ გაკვეთილი კარგად რომ ისწავლა და მოუყვა, რა აღტაცებით უსმენდა... როცა დაამთავრა, — „ყოჩაღ," — უთხრა და მხარზე ხელი დაჰკრა.

უცებ გაეცინა. რაღაც დაუოკებლად მოსკდა მასში და მთელი სხეული აუდუღა, აუღელვა, აუფორიაქა.

სწრაფად ჩაშოირბინა ფერდობი და სამანქანო გზაზე გამოვიდა. გახედა — მიდიოდნენ. უნაყოფო ძებნის შემდეგ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ და უხმოდ მიდიოდნენ. არც ხელისქნევით ლაპარაკობდნენ წელანდელისებურად, არც სიცოცხლე ეტყობოდათ. მიდიოდნენ თავჩაღუნულები, მძიმე ნაბიჯით.

ბიჭი ადგილს მოსწყდა.

— ძია! — დაიყვირა მან, — ძია!

— ძიაა!..

გზის პირას იდგა ტყისმცველი და კმაყოფილი იღიმებოდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# პორტფელი

**მიხეილ სტოიანი**
რუმინელი მწერალი

ნახ. არ. შავიანიძისა

მშვენიერი დილა იყო და თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. დედა რაღაცით შეწუხებული მიგვაცილებდა სკოლაში მე და შტეფანიკს. მე რა მჭირდა შესაწუხებელი, პირველად ხომ არ მივდიოდი სკოლაში შტეფანიკივით! ჩემი ახალთახალი პორტფელი ისე მეჭირა ხელში, — ყველას დაენახა პრიალა ოქროფერილი საკეტი და შეშურებოდა.

ამაყად, აუჩქარებლად მივაბიჯებდი, მარჯვნივ დედა მომყვებოდა, მარცხნივ — შტეფანიკი. მე ღიმილით გავხედავდი ხოლმე ჩემს ძველ, გაცრეცილ ჩანთას, რომელსაც ახლა შტეფანიკი დაპატრონებოდა და ჯეროვანი სიამაყით ეპყრა ხელთ. მეორე ხელში საბაზრო ხელკალათი ეჭირა შტეფანიკს — დიდი ქლესა ვინმე ბრძანდება, დედას გამოართვა, მე ვატარებო.

უცებ, ქარმა დაუბერა და, პალტოს შესაკრავად, დედას ვთხოვე, ცოტა ხანს დაეჭირა ჩემი საკმაოდ მძიმე პორტფელი. პალტო შევიკარი, ხელები ჯიბეებში ჩავიყავი და სიამით სტვენას მოვყევი. ბედნიერებაა ასეთი შესანიშნავი პორტფელით სკოლაში სიარული!

ვიღაც ბერიკაცს პატარა ბიჭი მოჰყვებოდა, ეტყობა, შვილიშვილი. ჩვენკენ მოდიოდნენ. მოხუცი ყავარჯენს ეყრდნობოდა და მძიმედ მოაბიჯებდა. გაგვისწორდნენ. ბიჭი აღტაცებით მისჩერებოდა დედაჩემს ხელებში, თვალი დარჩა პორტფელზე...

— შეხე, პაპა, შეხე, რა პორტფელია! ნეტავი ასეთი პორტფელი მომცა! — თქვა ბიჭმა ხმამაღლა.

— მე კი, — მიუგო მოხუცმა, — აი, პატარა ბიჭს შეხე, ნეტავი ისეთი შვილიშვილი მომცა! — და ღიმილით გამოაყოლა თვალი შტეფანიკს, რომელსაც ჩანთისა და დედაჩვენის ხელკალათას ზიდვა ისე გასჭირვებოდა, — ძლივს, იხვივით მობაჯბაჯებდა.

მე შევჩერდი და გულმოსული მივაჩერდი ბერიკაცს. ვინ ეკითხება?! გაგულისებულმა ხელიდან გამოვგლიჯე პორტფელი დედას. ვერ გამიგია, რად არ მოეწონა ჩემი შესანიშნავი პორტფელი ბერიკაცს?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამთავრდა პიონერული ორწლედის პირველი წელი

# რკვიაში ლალისფერი ვარსკვლავი კიაფობს

ლალის ვარსკვლავი იმ დღესვე „აკიაფდა“ რკვიელი პიონერების სკოლის თავზე, რა დღესაც ლენინგრადელი პიონერების მოწოდებას გაეცვნენ, იმ დღესვე „აკიაფდა,“ ოღონდ არა ნამდვილი, არამედ ოცნების.

სკოლის ეზოში ტევა არ იყო. ბავშვები სულგანაბული ისმენდნენ მოწოდების სიტყვებს:

— წარმატებით შევასრულოთ პიონერული ორწლედის პირველი წელი, შევაგროვოთ ლითონის ჯართი მეგობრობის ნავთობსადენისათვის, დავეხმაროთ უფროსებს შრომაში, ბეჯითად ვისწავლოთ, რაზმი მთელი შემადგენლობით გადავიდეს კლასიდან კლასში.

ისმენდნენ რკვიელი პიონერები ლენინგრადელების მოწოდებას და მტკიცედ გადაწყვიტეს ებრძოლათ პიონერული ორწლედის პირველი წლის ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, ლალის ვარსკვლავისათვის...

ლალის ვარსკვლავი ძალზე საპატიო ნიშანია და იმ სკოლაზე აინთება, რომელსაც არც ერთი ოროსანი არ ეყოლება, რომელშიაც ყველა რაზმი იცხოვრებს დევიზით: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“, რომელიც მოიპოვებს შვიდწლედის თანამგზავრი რაზმეულის საპატიო სახელს. ეს კარგად იცოდნენ რკვიელებმა, ამიტომაც ლალის ვარსკვლავზე ოცნებობდნენ ისინი, როცა დღიურში საშინაო დავალებას ინიშნავდნენ, ლალის ვარსკვლავზე ოცნებობდნენ, როცა შინ ახალი გაკვეთილის მოსამზადებლად სხდებოდნენ; როცა თავის უმცროს მეგობრებს, ოქტომბრელებს ახალ სიმღერასა და თამაშობას ასწავლიდნენ, როცა მეზობელ სოფლის ნორჩ სპორტსმენებს საასპარეზოდ ხვდებოდნენ.

ლალის ვარსკვლავზე ოცნებამ, შრომის ხალისმა და ოქროსფერმა ბურბუშელებმა აავსო ერთ დღეს რკვიის შვიდწლიანი სკოლის პატარა სახელოსნო. იმ დღეს პიონერებმა ოცი ცალი ეკერი დაამზადეს კოლმეურნეობისათვის.

სოფელში ადრე გაზაფხული იდგა. თვალუწვდენელ მინდვრებს კოლმეურნეები შესეოდნენ. საზომი ეკერი ყველგან საჭირო იყო, სადაც კოლმეურნეებს ნარგავების სწორი მწკრივი უნდა დაეცვათ: ბოსტანში თუ ვენახში, ხეხილის ბაღში თუ სანერგეში.

გახარებული კოლმეურნე ღიმილით ატრიალებდა ხელში ეკერს.

ბაბუა სოლომონმა ეკერის დანიშნულება არ იცოდა და ზურაბ ჭუმბურიძემ აუხსნა. „შენ ვინ გასწავლა?“ — ღიმილით შეეკითხა ბაბუა. „ფიზიკაში ვისწავლე“, — უთხრა ზურაბმა. ბაბუამ არც ფიზიკა იცოდა რა იყო და სიტყვა ბანზე აუგდო.

— არა, საქმე ამ ფიცარში კი არ არის, კაცს ის გაეხარდება, ბავშვებმა თვითონ გააკეთეთ და სახალხო საქმეზე იფიქრეთ, — ვინ იცის მერამდენედ თქვა ბაბუამ, მერამდენედ გახედა ეკერს და შეამოწმა ახალი ვენახის დასარგავად გამზადებული მწკრივი.

* * *

რამდენიმე ცალი ასეთი ეკერი ბავშვებმა თავიანთი სკოლის ნორჩ ნატურალისტებსაც დაუმზადეს. ისინი სიმინდის უხვი მოსავლისათვის ზრუნავენ. ამისათვის თავიანთ საცდელ ნაკვეთზე სიმინდის ხუთი ნაკვეთი გამოჰყვეს და ხუთი ცდა დააყენეს.

მაგული არჩვაძისა და ოსიკო ბებიას რგოლის ცდა სიმინდის მწკრივად დათესვაზე იყო დამყარებული. სიმინდის თესლის თანაბარი დაცილება და მწკრივის სიზუსტის დაცვა კი ეკერის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

მწკრივებს შორის მანძილი 15-30 სანტიმეტრი უნდა დავტოვოთო, თქვა ილია ჩუბინიძემ, ეკერი ნიადაგში ჩაასო და მინდორს გახედა. ილია ზომავდა, ნატაშა შეყრილაძე კი აჯამეთის თეთრი სიმინდის ფართო მარცვლებს გიშერივით შავ ნიადაგში ფანტავდა და თესავდა.

ნორჩმა მესიმინდეებმა ყანას არც თოხნა დააკლეს და არც მარგვლა, არც სასუქი და არც მორწყვა. „ჰექტარზე 120 ცენტნერი სიმინდი უნდა მივიღოთ“ — ვარაუდობდნენ ნორჩები.

„თუ ცდებმა კარგად გაგვიმართლა, კოლმეურნეებს ჩვენი გამოყვანილი ხუთივე ჯიშის სიმინდს გადავცემთ“ — ფიქრობდნენ ნორჩი მესიმინდეები და ოცნებაში ლალისფრად მოკიაფე ვარსკვლავს თვალს თამამად უსწორებდნენ.

მიდიოდნენ დღეები, სიმინდი იზრდებოდა. ზაფხული ძალაში შედიოდა. პიონერებს მინდვრად ყოფნა არ სწყინდებოდათ.

* * *

ბალახს ცვარ-ნამი არ შეშრობოდა, როცა ლეილა ლაბაძე ორღობეში თანატოლებს იური მანჯავიძეს და ნელი ლაბაძეს წამოეწია. იმ დღეს პიონერებს კოლმეურნეობის სამწყემსურში ელოდნენ. ამ გაზაფხულზე მათმა რაზმეულმა კოლმეურნეობის ახალმოზარდეულზე იკისრა შეფობა.

— ჩვენ მოვუვლით, მოვმწყემსავთ და სადგომსაც თვითონ გავუსუფთავებთ, — თქვეს პიონერებმა და უფროსებიც ენდნენ, რადგან პიონერებს მათთვის ბევრი დავალება შეუსრულებიათ.

ნორჩი მეცხოველეები დიდი პატივით ეპყრობოდნენ უფროსების ნდობას და გაათკეცებული მონდომებითა და ყურადღებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. დილიდან საღამომდე რჩებოდნენ მინდორში, საქონელთან.

იმ დღეს კარგად დაანაყრეს, მდინარეზე ჩაიყვანეს, კარგად გაბანეს, დავარცხნეს და მანამ არ წამოსულან შინ, ვიდრე ორმოცდახუთივე საიმედოდ არ დააბინავეს.

საღამოხანს ისინი ორღობეში თავიანთ თანატოლებს ნელი ცუხიშვილს, იუზა, ნარგიზ და გოგი ლაბაძეებს წამოეწივნენ. მხარზე თუთის შრიალა ფოთლებით სავსე

ტომრები ეწყოთ და გოგი ლაბაძის სახლისაკენ მიეშურებოდნენ.

გაზაფხულზე ნორჩმა მეაბრეშუმეებმა 30 გრამი აბრეშუმის მური გამოიყვანეს. სკოლაში ადგილი აღარ იყო. აბრეშუმის ჭიას ყველა საკლასო ოთახი დაეკავებინა.

— ესენი ჩვენთან დავაბინაოთ, — თქვა მაშინ გოგიმ, და ორ დიდ ოთახში განიერი ჩელტები გაბეს. ჭია კარგად დააბინავეს, გულმოდგინედ უვლიდნენ, კარგად ჰკვებავდნენ და მოუთმენლად ელოდნენ ოქროსფერი აბრეშუმის პარკებს.

დილანდელი ნორჩი მეცხოველეები ახლა მეაბრეშუმეებად იქცნენ. საერთო საქმეს ლეილამ და მისმა ამხანაგებმაც წაამველეს ხელი. ტომრები წაალებინეს და ერთად გაშალეს ფოთოლი ჩელტებზე.

როცა ბავშვები საქმეს მორჩნენ, აივანზე ჩამოსხდნენ. დაღლას არც ერთი არა გრძნობდა, გულიანად იცინოდნენ ერთმანეთის ხუმრობაზე, საუბარში საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა და თივა ახსენეს...

* * *

დამთავრდა მეოთხე მეოთხედიც. სკოლაში დიდი ზეიმი იყო. ზეიმს დიდი სიხარული მოჰყვა. უხაროდათ პიონერებს ის, რომ სკოლის გვერდით მოზრდილი „მთა" დასძრეს და ხევში გადაუძახეს. იმ მთის ადგილზე კოხტა სასპორტო მოედანი გამართეს. ისიც უხაროდათ, რომ სადგურ რკვიადან ნიჩაბამდე ერთი ნამცეცი ჯართი არ დატოვეს. უხაროდათ რომ კოლმეურნეობას 600-მდე ძირი ხეხილის ნერგი გამოუზარდეს.

ყველაფერი ეს ძალზე სასიხარულოა, მაგრამ რკვიელ პიონერებს ყველაზე მეტად ისახარებთ, რომ რაზმეულში არც ერთი ოროსანი არ ჰყავთ. რაზმს არც ერთი წევრი არ ჩამორჩენია, ყველა გადავიდა მომდევნო კლასში.

სკოლის დირექტორმა ტაშის გრიალში დაასახელა სოლომონ და ავთანდილ მუმლაძეების გვარი და ქების სიგელები გადასცა. ასეთი სიგელი იმ დღეს ბევრმა მიიღო.

* * *

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. რკვიელმა პიონერებმა ორწლედის პირველი წლის ვალდებულება შეასრულეს. საკოლმეურნეობათშორისო ფერმას პიონერების დიდი „ამანათი", — 6 ტონა თივის ზვინი მიუვიდა. მოსწავლეებმა 30 გრამი აბრეშუმის მურიდან 100 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი ჩააბარეს სამშობლოს. 10 ტონა ჯართი „გაუდგა" მეგობრობის ნავთობსადენისაკენ მიმავალ გზას. მდინარე ყვირილას პირას მათი დარგული აკაციის ხეები ლამაზ ხეივნად გაიზარდა.

სიმინდის ხუთივე ცდამ კოლმეურნეთა „ხუთიანი" დაიმსახურა. „ამდენი ოცნება ერთად აგვიხდა, რა იქნება ლალის ვარსკვლავის ოცნებაც შეგვისრულდესო", — ფიქრობდნენ ბავშვები.

— ცოტაც მოიცადეთ, ერთხელ კიდევ გამოსცადეთ თქვენი ნებისყოფა, შეგიძლიათ ჯერ ერთი გაკვეთილი, შემდეგ ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი თვე ისე განვლოთ, რომ მოუმზადებელი გაკვეთილით კლასში არავინ მოვიდეს? — ეჩურჩულებოდა ბავშვებს საკუთარი სინდისი.

— შეგვიძლია, შეგვიძლია, — მტკიცედ თქვა მეორე რაზმის საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ხვედელიძემ. — არა გჯერათ? ნახეთ ჩვენი დღიურები და საკლასო ჟურნალი, სადაც ამ წელს არც ერთი ცუდი ნიშანი არ ჩაწერილა.

რაკი ეს გამოცდაც ჩააბარეთ, ახდეს თქვენი დიდი ოცნება! — „გაიფიქრა" ლალის ვარსკვლავმა და ხალისით „აჰყვა" მურმან და დარეჯან ტყემალაძეებს სკოლის სახურავზე. აინთო, წითლად აელვარდა და მთელ სოფელს ამცნო ვარსკვლავმა — ამ სკოლაში, სადაც მე ვარ, არც ერთი ოროსანი არ არისო.

დაიწყო პიონერული ორწლედის მეორე წელი. რკვიელ ნორჩ ლენინელებს ახლა ახალი ოცნება აქვთ,— შეინარჩუნონ ვარსკვლავი, ბოლომდე შეინარჩუნონ.

**რ. პერკინა**

# „ოთხი პიონერხ

სამტრედიაში არის ერთი ქუჩა, პატარა და ჩუმი. დიდი ხანი არ არის, რაც მას ზედმეტ სახელად „პიონერხელმძღვანელების ქუჩა" შეარქვეს.

ყოველ დილით, ძალიან ადრე, ამ ქუჩით მოიჩქარის ოთხი წითელყელსახვევიანი ქალიშვილი. ისინი ერთად, საუბრით მოდიან. ქუჩის დასასრულს მათი გზა იყოფა, ოთხივეს სხვადასხვა ადგილას ელოდება თავისი სკოლა, სადაც ისინი პიონერხელმძღვანელებად მუშაობენ. მათ შორის ყველაზე უფროსი გულნარა ჩაჩუაა, ხოლო მისი და მაყვალა, ელეონორა ჩიგოგიძე და ლამარა ოდიშარია თითქმის თანატოლები არიან. ქალიშვილები ერთ ქუჩაზე მეზობლად ცხოვრობენ და დიდი ხნის მეგობრები არიან, კომკავშირშიც ერთად შევიდნენ, სკოლის დამთავრების შემდეგაც ერთდაიმავე სამუშაოზე წავიდნენ. ეს არ არის უბრალო შემთხვევის შედეგი. ოთხივე ქალიშვილი ბავშვების დიდმა სიყვარულმა მიიყვანა სკოლაში.

პირველად გულნარა წავიდა პიონერხელმძღვანელად. მხიარულ, დაუზარებელ გოგონას ჯერ კიდევ რაზმის პიონერხელმძღვანელად ყოფნის დროს შეუყვარდა პიონერული საქმიანობა. ამიტომაც გაყვა ამ გზას, ხოლო, როცა უფროს პიონერხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა და პიონერულ ცხოვრებაში ღრმად ჩაიხედა, ბევრი კიდევ უფრო საინტერესო ნახა და დარწმუნდა, რომ არჩევანში არ იყო შემცდარი. „სწავლის გაგრძელებას დაუსწრებლადაც მოვახერხებო", — ფიქრობდა გულნარა, როცა რკინიგზის 23-ე საშ. სკოლაში მივიდა. მალე გაიცნო თავისი პიონერები, დაუმეგობრდა. ერთხელ გულნარამ ბავშვები შეაგროვა, მოისმინა, ნახა თუ ვინ როგორ მღეროდა და ცეკვავდა, მერე თვითონაც იმღერა და იცეკვა. ბავშვებს გაუკვირდათ: რა კარგად მღერის და რა კარგად ცეკვავსო. ამ დღიდან გულ-



სურათზე: ე. ჩიგოგიძე, გ. ჩაჩუა, ლ. ოდიშარია და მ. ჩაჩუა.

# ელმძღვანელის ქუჩა“

დას მეცადინეობა არავის გაუცდენია.

ერთხელ კოლმეურნეობაში სამუშაოდ გავიდნენ ყველანი, გულნარაც იქ იყო. ბავშვები თავდაპირველად ზანტობდნენ. მერე, როცა ნახეს უფროსი პიონერხელმძღვანელი როგორი გულმოდგინებით რგავდა პამიდვრის ჩითილს, თვითონაც ჩუმად გამწკრივდნენ და შეუდგნენ მუშაობას. იმ დღეს 5 000 ჩითილი დარგეს გულნარას პიონერებმა. ის დღე იყო და ის დღე, გულნარას სიტყვა ბავშვებისათვის კანონი გახდა. ჩავატაროთ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ მკითხველთა კონფერენცია, — თქვა გულნარამ, და კონფერენცია ჩატარდა. მოვაწყოთ ვ. ი. ლენინის ოთახი, — ოთახი მოაწყვეს. მერე ერთი მეორეს მიჰყვა კარგი საქმეები.

საღამოს, დაბრუნდებოდა თუ არა გულნარა შინ, მაყვალა, ელეონორა და ლამარა მასთან გაჩნდებოდნენ და ყურადღებით უსმენდნენ მეგობარს. გულნარას ყოველთვის ჰქონდა მათთვის საამბობი ახალი და საინტერესო. მალე მაყვალამ დაამთავრა საშუალო სკოლა და განაცხადა, მეც პიონერხელმძღვანელად წავალო. მან მუშაობა საჯავახოს საშუალო სკოლაში დაიწყო. სკოლაში მისვლისთანავე მაყვალამ ეზოში ბავშვებს გააშენებინა მშვენიერი სკვერი, სადაც დადგეს ლენინის კარავი, სწორედ ისეთი, როგორიც რაზლივში ჰქონდა ბელადს. ბავშვებს ძალიან უყვართ ეს კარავი და დიდი მონდომებით უვლიან. მერე მაყვალას პიონერებმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მოაწყვეს თავისთვის. კოლმეურნეობაში მათთვის გამოყოფილ ნაკვეთზე ორჯერ დათესეს სიმინდი და მოსავალიც უხვი აიღეს.

არც ელეონორა ჩიგოგიძე ჩამორჩა მეგობრებს. მან თითქმის მაყვალასთან ერთად დაიწყო პიონერხელმძღვანელად მუშაობა სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლაში. ელეონორას პიონერებმა 2 ჰექტარზე დათესეს სიმინდი და რამდენიმე ათასი პამიდორი დარგეს. 150 გრ ჭიის მური გამოკვებეს. მართალია, როგორც მაყვალამ ისე ელეონორამაც გამოიყენა გულნარას გამოცდილება, მაგრამ თვითონაც ბევრი რამ კარგი მოიფიქრეს. ელეონორამ და მისმა პიონერებმა ინახულეს გამოჩინებულის სკოლის მოსწავლეები და საჩუქრები გადასცეს მათ. გამოჩინებული — მაღალმთიანი ადგილია. ყოველ ზამთარს, როცა თოვლი გზებს შეკრავს, გამოჩინებულის პიონერები მოწყდებიან გარე გაზაფხულამდე, მაგრამ მეგობრებმა ახლა მათ იმდენი ჟურნალი და წიგნები მიუტანეს, არ მოსწყინდებათ.

ლამარაც უფროსი მეგობრების გზას მიყვანა. მან სექტემბერში დაიწყო მუშაობა პიონერხელმძღვანელად. ლამარამ ~~უკვე ბევრი რამ იცის~~ პიონერული მუშაობის შესახებ.

ხშირად მეგობრები კვლავ გულნარასთან იყრიან თავს, აცნობენ ერთმანეთს თავიანთ გეგმებს, თათბირობენ.

ისინი ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ, ერთად გაიზარდნენ, ერთი ინტერესები აქვთ და ერთი გზით მიდიან. მათ სამტრედიაში ყველა იცნობს.

ამიტომაც დაარქვეს ზედმეტ სახელად სამტრედიელებმა ერთ პატარა, ჩუმ ქუჩას — „ოთხი პიონერხელმძღვანელის ქუჩა“.

**მ. კვარაცხელია**



# გორდა ცხენი

**ლიდა სჯვილია**

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ნახ. ჯ. ლოლუასი

ცხენების ჭიხვინს ფრთხვინვა მოჰყვა. მერე თქარათქური მოგვესმა, და პირველი მე გამოვვარდი გარეთ.

— გაცივდები! გაცივდები!.. — აკივლდა ბებია.

მე სხვებიც მომყვნენ და აბა, ჰა... ვხედავთ, გარბიან და გარბიან ცხენები ჭალისაკენ.

— ნამდვილად დიდს დათოვს, დიდს დათოვს ამაღამ. — მესმის ბებიას ხმა.

— აბა, აბა! რა ამბავში არიან საწყალი ცხენები... ქვევით ჩამორბიან. მაგარი ზამთარი იქნება, — უდასტურებდა დედა.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისე გვიხაროდა თოვლის მოსვლა. „დათოვე, დათოვეს!“ გაბედულად ვყვიროდით ბავშვები. მაგრამ ცხენები ისე გვეცოდებოდა, რომ სიხარული შუაზე გვეყოფოდა.

—დედა, ამაღამ ცხენები სად მოისვენებენ? — ვკითხე დაწოლისას დედას.

— ჭალაში, ერთ მყუდრო ადგილს მოძებნიან და იქ გაათენებენ, — მიპასუხა დედამ.

გარეთ ქარი წიოდა. გაბურული იყო არე-მარე ფიფქებით. ხეები თეთრი თაიგულებივით იდგნენ და ყოველ დაქროლვაზე თითქოს თეთრი ვარდები სცვივოდათ ტოტებს.

ჩამესმოდა თბილი ბუხრის წინ ჩაძინებული თეთრი კატის ხვრინვა. ეძინა ძმას, დედას, ბებიას. მე კი ისევ თოვლზე და ცხენებზე ვფიქრობდი. ვფიქრობდი იმაზე, რომ ცხენებს შესცივდებათ, რომ მათი საძოვარი თოვლმა დაფარა, რომ ცხენებს მგლები შეჭამენ, და ყველაზე მეტად გორდა ცხენის შიში მქონდა. გულში ვწყევლიდი გორდას პატრონს, რომ ასეთ ამინდში ბებერი ცხენი შინ არ დააყენა. რა უჭირდა თომა ბიძიას, რომ ცხენი გარეთ არ გამოეგდო, ამ თოვლში?! ტყუილად უდგას ხუთი ზვინი ჩალა და შვიდი ზვინი თივა? ყველაფერი ძროხებს და ხარებს უნდა შეაჭამოს, გორდას კი არა! გორდასაგან მხოლოდ შრომა უყვარს, შეჯდება და წავა ნათესავებში. აკიდებს საფქვავს და მიაჩაქჩაქებს წისქვილში, აკიდებს შეშას და მოაქვს სახლში... ოჰ, რა ხარ, რა ხარ, თომა ბიძია!

მთელი სოფლის ბავშვებს გვიყვარდა გორდა. ყველა ცხენზე მაღალი იყო და დიდი. ჰქონდა დიდი ფაფარი, გრძელი და დაძონძილი კუდი. ზურგი იმდენად ჰქონდა ჩაზნექილი, — კუზიან აქლემს მოგაგონებდათ, გორდას ამიტომ ვეძახდით ბავშვები.

აი, როგორ შევეჩვიეთ გორდას თავდაპირველად. ერთხელ ბავშვები ტყეში მივდიოდით ფიჩხისათვის. შემოდგომის დღე იყო. გორდა ტყის პირას იწვა. დაწოლილ გორდას მივუახლოვდით. არ გაინძრა. ხელის შეხების კი გვეშინოდა, ვაი თუ წიხლი გვკრას ან გვიკბინოს-მეთქი. გავბედე, მივედი და შევეხე. მოვეფერე, ამხანაგები კი შორი-ახლო იდგნენ და მეუბნებოდნენ: „ა, ახლა გიკბენს, ჯერ გიჩვევსო. ა...ა... წამოდგომას აპირებსო“. მაგრამ მე უშიშრად ვიდექი გორდასთან და ბწკალიებს ვაცლიდი. მერე სხვებმაც გაბედეს და მოვიდნენ. გორდა მაინც არ გაინძრა, რომ არ შევშინებულიყავი, ხმამაღლაც არ სუნთქავდა. თანდათანობით გავუთამამდით. ფაფარი რომ გავუსუფ-

თავეთ ბწკალიებისაგან, მერე კუდს დავუწყეთ წეწვა. კუდზედაც რომ მოვათავეთ... გორდამ წამოდგომა იწყო, ერთიორი ბავშვი ზურგზე შევრჩით... გორდა გაიმართა, დინჯად დგამდა ნაბიჯებს, თითქოს ჩვენი ჩამოვარდნის ეშინოდა. ჩვენ კი ფაფარს ჩაჭიდებულები, შიშითაც და გაბედულებითაც ვეფერებოდით გორდას. სხვა ამხანაგები კი მოგვდევდნენ და მოგვდევდნენ.

მახსოვს, ბაბუამ მიამბო: ერთხელ თურმე ამაღამდელივით ცუდი ღამე ყოფილა. ცხენები ჭალაში ჩამოსულან. გორდას მაშინ პატარა კვიცი ჰყოლია და ცხენებთან ერთად იდგა თურმე. თავშეყრილ ცხენებს სამი მგელი დასცემიათ, შეშინებიათ და გაქცეულან, გორდას კი ფეხი არ მოუცვლია, რადგან ახალდაბადებული კვიცი ვერ ირბენდა. მგლები გაქცეულ ცხენებს ადევნებიან. გორდა და მისი კვიცი ასე გადარჩენილან.

იქნებ ამაღამაც როგორმე გადარჩეს გორდა. თუ გადარჩა, გორდას ხვალ მოვიპარავ და ჩემს თავლაში დავამწყვდევ, გავათევინებ ღამეს. ბებია და დედა არ გამიჯავრდებიან. მე ხომ ვეხმარებოდი მათ შემოდგომაზე თივის მოფოცხვაში, ჩალის შეგროვებაში!

მთელი ღამე ამ ფიქრებში გავატარე. გათენებისას თოვა შეწყდა. ცა ერთბაშად გადაიწმინდა, ყველაფერი გაიყინა. ჩამოეკიდნენ საწვეთლებს ლოლუები. წელამდე თოვლი იდო. დედა პირველი ადგა და ცეცხლი გააჩაღა. ვხედავდი, ფანჯრიდან აივანზე თითო-თითოდ როგორ შემოდიოდნენ ჩიტები. დედამ მათ საკენკი დაუყარა. ჩიტების ხმაზე კატამაც მოისურვა აივანზე გასვლა, მაგრამ მე მოვაბრუნე. კბილებს აკაწკაწებდა სიცივისაგან და ნერწყვმომდგარი უკმაყოფილოდ შემყურებდა.

— მოისპო შენი თავი, ქე მაინც გშიოდეს, ჩიტებს მისი უჭირთ და შენც გინდა გაუჭირვო?! — ჩაჰკრა ბებიამ თითისტარი თავში და კატა ტახტქვეშ შეძვრა.

თუმცა მზე გამოჩნდა, მაგრამ ხეებიდან მაინც არ ცვიოდა თოვლი. ძმას პირველს უნდოდა ჭალაში გაქცევა, აინტერესებდა გორდას ნახვა. რომ შევნიშნე, ბებია მას უშვებდა და მე არა, ავტირდი.

— არ იტირო, ამ წუთში მოვბრუნდები, გორდასაც მოვიყვან, — მამშვიდებდა ძმა. — მე მაინც არ ვწყნარდებოდი.

მერე ბებიამ ორივე გაგვიშვა.

წისქვილის წყალი გაეყინა და მეწისქვილე ადუღებულ წყალს ასხამდა ღარსა და ბორბალს. წისქვილის მახლობლად რამდენიმე კაცი იდგა, ხელებს აქნევდნენ. ცოტაც მივუახლოვდით და წაქცეული გორდა დავინახე...

თომაც იქვე იდგა, ბიძია თომა, ვითომც აქ არაფერიიო, თამბაქოს ახვევდა. „რაფერ გადავათრიოთ ახლა ეს საოხრე?“ — თქვა უკმაყოფილოდ.

ირგვლივ კი თოვდა, გაბურული იყო არე-მარე ფიფქებით და იდგნენ ხეები თეთრი თაიგულებივით.



## რატომ ვამ… ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დოლარის დიპლომატია

კაპიტალისტური სახელმწიფოები სუსტ, განუვითარებელ ქვეყნების მიმართ ეკონომიური დამონების, უცხოელთა მსხვილი ბანკებისა და მრეწველობისადმი მათი დამორჩილების პოლიტიკას ატარებენ. ამას დოლარის დიპლომატიას უწოდებენ. ეს გამოთქმა ამერიკის პრეზიდენტს ვილიამ ჰოვარდ ტაფტს ეკუთვნის. მან დოლარის პოლიტიკაზე თქვა, დოლარი ტყვიის მაგივრობას უნდა ეწეოდესო. თუმცა პრაქტიკულად ამერიკის მთავრობა დოლართან ერთად ტყვიებსაც ხშირად იყენებდა. დოლარის დიპლომატიის მიზანია ეკონომიური დახმარების საფარქვეშ პატარა სახელმწიფოები დიდ და მდიდარ სახელმწიფოებზე პოლიტიკურად დამოკიდებული გახადოს.

### ოდეკოლონი

ეს სურნელოვანი სითხე, რომელსაც ჩვენ ოდეკოლონს ვუწოდებთ, პირველად ვინმე ფარინას, ქალაქ კელნის მცხოვრებს გამოუგონია. აქედან დაერქვა მას ოდეკოლონი — „კელნის წყალი“. ფრანგულად — „ო“-წყალი, „დეკოლონ“-კელნიდან.

### კარანტინი

XIV საუკუნეში, იტალიაში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. მოსახლეობა შიშმა შეიპყრო. როგორ დაეხსნათ თავი ეპიდემიისაგან? ქალაქ რაკუშის მცხოვრებმა, ყოფილმა მეზღვაურმა ლაგომ წინადადება შეიტანა, 40 დღის განმავლობაში, ყველასათვის განურჩევლად, ქალაქში შესვლა აეკრძალათ. ამ ღონისძიებამ გაამართლა, ქალაქი გადარჩა. მას შემდეგ ავადმყოფობის კერის იზოლაციას კარანტინს უწოდებენ. „კარანტინი“ იტალიურად ორმოცს ნიშნავს.



# მგელა



ლიშო მთებს შორის ჩაფენილი პატარა სოფელია. სულ ორმოციოდე კომლი თუ ცხოვრობს იქ, მაგრამ ყველაფერი ის, რაც დასასვენებლად ჩამოსულს იზიდავს, ლიშოს სუფთა, გამაჯანსაღებელი ჰაერი და მისი ბუნებაა.

გიას ძლიერ უყვარს ლიშო, და აკი ყოველ ზაფხულსაც მიდის იქ.

აი, ახლაც, დედა, მამა და გია კვლავ ჩამოვიდნენ ლიშოში.

ამჯერად გიამ თავისი მგელაც წამოიყვანა.

მგელა ძლიერ ჭკვიანი ძაღლია.

იგი მამამ გიას შემოდგომაზე მოუყვანა, მაშინ მგელა ერთი თვის ძლივს იქნებოდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ხბოს არ ჩამოუვარდებოდა სიდიდით. მამამ მგელას წვრთნა დაუწყო მოყვანისთანავე. მალე იგი ისე გაიწაფა, რომ თითქმის ყველაფერს აკეთებდა, რასაც დაავალებდნენ, მაგრამ ყველას კი არ უჯერებდა, მხოლოდ გიას და მის დედ-მამას.

— უი, ქა მგელია თუ თვალი მატყუებს, — გაიკვირვა ბებიამ, როცა მგელა პირველად ნახა.

— მგელი კი არა მგელაა! — გაუსწორა გიამ, — ჩვეულებრივი ძაღლია, გერმანული ნაგაზი.

— გერმანულია? — გააგრძელა პაპამ, — მაშ, იმ დაწყევლილი ჰიტლერის ჯიშისა ყოფილა, აი.

შემდეგ თედო პაპამ სახლში დიდი ლხინი გააჩაღა. მაღალ აივანზე გაშლილი სუფრიდან ხელის გულივით მოჩანდა ივრის ხეობა და მის გარშემო მდებარე ამწვანებული გორაკები, მინდვრები, ატეხილი ჭალები.

* * *

გიას მშობლები ისევ თბილისს გაბრუნდნენ, გია და მგელა კი პაპასთან დარჩნენ.

მალე გიას სოსომ მოაკითხა. გია და სოსო გულითადი მეგობრები იყვნენ. სოსოს სახლი თედო პაპას სახლის უკან იდგა და მეგობრები თითქმის ყოველთვის ერთად იყვნენ.

— სოსო, იცი, მე შენ ნემსაკავები ჩამოგიტანე!

— უჰ, რა კარგია! მაშ, ხვალ სათევზაოდ წავალთ, არა? ვაიმე, ეს რამხელა ძაღლია! — შეკრთა სოსო, რომელმაც ახლაღა შეამჩნია მგელა.

— ნუ გეშინია, თუ მე არ ვუთხარი, არაფერს გავნებს, — დაამშვიდა გიამ.

მეგობრები საუბრით მიუახლოვდნენ სახლს. ორღობეში მათზე გაცილებით დიდი ბიჭი შემოხვდათ, რომელმაც ვითომ შემთხვევით, მხარი ისე წაჰკრა გიას, რომ ის წაბარბაცდა, ფეხი ქვას წამოჰკრა და მიწაზე გაიშხლართა.

— რას შვრები, ნიკო! — შესძახა გაბრაზებულმა სოსომ.

უცებ ნიკო უხილავმა ძალამ მიწაზე დაანარცხა და ცუდად იქნებოდა მისი საქმე, რომ გიას არ დაეძახა, მგელა, გაუშვიო.

მგელამ გაუშვა ნიკოს კბილები და ღრენით დახედა დამარცხებულს, შეშინებულს და მთლად გაფითრებულს.

— მგელა, მოდი ჩემთან! — დაუძახა გიამ.

მგელა მისკენ წავიდა. ნიკო წამოდგა და სასწრაფოდ გასცილდა მათ. შემდეგ შემობრუნდა და მთელი ძალით იყვირა:

— გადაგიხდი, თუ ბიჭი ვარ! — და მუშტების ქნევით მიეფარა ღობეს.

—ნუ გეწყინება, გია, ის ყველა თავისზე პატარას სცემს და იბრიყვებს, — უთხრა სოსომ და მერე დაუმატა:

— მგელა კი რა ღონიერი ყოფილა, როგორ ზორბად დაახეთქა.

ბიჭები ეზოში შევიდნენ, ხტუნვით გაიარეს მოკირწყლული ბილიკი, კიბე ხმაურით აირბინეს და შევიდნენ ოთახში, რომლის შუაში მაგიდა და მის გარშემო შემოლაგებული ოთხი სკამი იდგა. კუთხეში ყავისფერი მოჩუქურთმებული კარადა ამშვენებდა ოთახს. მის თავზე დიდი სარკე და პაპასა და ბებიას ახალგაზრდობის სურათი ეკიდა. კარადის მარჯვნივ ერთი ძველებური ტახტი იდგა, რომელზეც ყვავილებიანი ფარდაგი იყო დაფენილი და რამდენიმე ჭრელი მუთაქაც იდო. ტახტის ზემოთ ირემდახატული ხალი იყო გაკრული, მასზე პაპას ძველი ყაიდის თოფი, სავაზნე და მოვერცხლილი ქამარ-ხანჯალი ეკიდა. ტახტის მოპირდაპირე მხარეს იდგა რკინის საწოლი, რომლის წინ დათვის უზარმაზარი რუხი ტყავი ეფინა. ოთახს ჰქონდა ოთხი დიდი და ნათელი ფანჯარა, რომელნიც მატებდნენ ოთახს სინათლესა და ელფერს.

გიამ ტახტის ქვემოდან გამოათრია დიდი ჩემოდანი და იქიდან ამოალაგა თბილისიდან წამოღებული ნივთები. მან სოსოს აჩუქა სათამაშო რევოლვერი, თეთრი, მაგარი ქაღალდისაგან გაკეთებული დაშნა, ფერადი შუშები.

მეგობრებმა დილისათვის სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტეს.

* * *

შეღამდა. გიას აივანზე გაეტანა პატარა სკამი და ჩაფიქრებული გასცქეროდა ბნელეთში ჩაკარგულ ივრის ხეობას. მის გვერდზე თედო პაპა იჯდა სამფეხა სკამზე. გია შეეკითხა:

— პაპა, ოთახში რომ დათვის ტყავია დაგებული, ის დათვი შენ მოკალი?

— ჰო, ის ვერანა დათვი! — დაიწყო პაპა თედომ, — რომელსაც ძლიერ უყვარდა საინტერესო ამბების მოყოლა, — შემოეჩვია ჩვენ სოფელსა. ცხვარი აღარ შეგვარჩინა და ძროხა. ყოველდღე იტაცებდა პირუტყვს და უფრო მეტს ასახიჩრებდა ხოლმე.

გაბრაზდნენ მონადირენი, აიკიდეს თოფები და დაიწყეს ტყე-ღრეში სიარული დათვის მოსაკლავად, მაგრამ ზოგი ცარიელი მოდიოდა და ზოგი კი დამტვრეული, დაბეგვილი მოჰყავდათ საკაცით.

პაპამ ხელი გადაისვა თეთრ, გრძელ ულვაშებზე და განაგრძო, — ჰოდა, ერთხელაც გავიფიქრე, მოდი ერთი ბედსა ვცდი-მეთქი. წამოვიკიდე თოფი და გავწიე ტყისაკენ. ტყეში შევედი და გულში გავივლე, ე თოფმა რო მიმტყუნოს, რა უნდა ვქნა-მეთქი. ამ დროს შემეჩეხა [illegible] მიხაკო, აი, შენი ამხანაგი სოსოს [illegible] და, ის კაცი სოფელში პირველი კაცი იყო სიბრძნითა და გამოცდილებით. გაჭირვებულს ხელს უმართავდა, ქვრივ-ობლებს ეხმარებოდა. ჰოდა, შემომხვდა ის კაცი და მეუბნება: საით გაგიწევიაო. რა ვიცი, იქნება დათვი გადამეყაროს სადმე-მეთქი. — ეე, — მიპასუხა იმედგაცრუებით, —. მეც ბედის საცდელად წავედი, მაგრამ ტყუილად.

— მოიცა, მიხავ, ქამარ-ხანჯალი მათხოვე, იქნებ როგორ გამომადგეს, ჰა.

მომცა მიხამ ქამარ-ხანჯალი და თვითონ სოფლისაკენ დაეშვა.

კარგა მანძილი გავიარე და ვხედავ, ერთ ადგილას ბალახია გათელილი. ვიფიქრე, ეს დათვის საქმე უნდა იყოს-მეთქი. მერე მივიხედ-მოვიხედე და გუნებაში ვთქვი, ცოტა დავისვენებ ამ პანტის ქვეშა-მეთქი; ჩამოვჯექი პანტის ქვეშა და თან თოფი წკიპზე შევაყენე. უცებ პანტის ტოტებმა ლაწა-ლუწი ასტეხეს. ავიხედე და რას ვხედავ?! უზარმაზარი დათვი დაკრუნჩხულა და დაბლა ჩამოსახტომად ემზადება. ი ოხერი კიდეც არ გადმოეშო და დაბლა ბოყინი არ გაიღო! ის იყო გაქცევას აპირებდა რომ, იჭექა ჩემმა თოფმა და დათვს ტყვიამ ფეხში გაუარა. მომიტრიალდა დათვი და ყალყზე შემდგარი წამოვიდა ჩემკენა. ვაიმე, თოფის გატენვას ველარ მოვასწრებ-მეთქი და ის იყო უნდა მძვერებოდა, რო ხანჯალი ვიძრე. დათვი წამით შედგა. მე კი რაც ძალი და ღონე მქონდა მოვუქნიე ხანჯალი და მკერდი შევუნგრიე. იმან კი ისეთი იღრიალა, რომ მთელმა ტყემ ზანზარი დაიწყო. როგორც იყო დალია სული ღრიალითა და ფართხალით. მაშინ კი გავიფიქრე: ხო ამოგადინე შხამათა ჩემი ჭრელი ძროხა და სოფლის სხვა საქონელიცა-მეთქი.

ის ოხერი ოცი ფუთი მაინც იქნებოდა, მაგრამა ისე ჩამოვათრიე სოფლამდისა რო, არც კი გამიგია. მაშინა იმ ცხონებულმა ის ქამარ-ხანჯალი მაჩუქა, აი, თოფთან ერთად რო ჰკიდია კედელზედა, — პაპამ ულვაშები ჩაიგრიხა და გიას სიამაყით გადახედა.

აივანზე ბებია ამოვიდა. ხელში ახლადმოწველილი რძით სავსე ქვაბი ეჭირა.

გიამ რძე დალია და წავიდა დასაძინებლად.

* * *

ცხრათვალა მზემ ჯერ მწვერვალები გაანათა, შემდეგ ამოიწვერა და სოფელსაც დააფინა სხივები.

ივრის ხევის განაპირას ერთი მორევია, რომლის სიგრძე-სიგანე ოთხი მეტრია, ხოლო სიღრმე ორ მეტრს აღემატება. მორევი ყოველთვის სავსე იყო ცასავით ლურჯი კამკამა წყლით. აქ თავს იყრიდა მრავალი თევზი. მის თავზე, პატარა კლდეზე მეხისაგან ჩანაცრული ტირიფი იყო, რომელზეც ორი ადამიანი თავისუფლად ჩამოჯდებოდა.

გიამ და სოსომაც აქ მოიკალათეს და ანკესები ჩაუშვეს წყალში. მგელა კი. მეგობრების პირდაპირ ქვიშაზე იჯდა.

ათიოდე თევზი რომ დაიჭირეს, მეგობრებმა ტყისაკენ გასწიეს ჟოლოს მოსაკრეფად. მგელაც აედევნათ.

ტყეში რომ შევიდნენ, შორს ცულის კაკუნი გაიგეს და იქით გასწიეს, რადგან სოსოს იქ მამა ეგულებოდა, რომელიც დილით ტყეში წავიდა ხის მოსაჭრელად.

მგელამ გაუსწრო ბიჭებს და ხმელი ფოთლების შარიშურით ბერმუხებს მიეფარა. ცოტა ხნის შემდეგ მისი გაცხარებული ყეფა და ვიღაცის განწირული ყვირილი გაიგონეს. ბიჭებმა მიირბი-

## მოსწავლეთა შემოქმედება

ნეს ადგილზე და ასეთი სურათი გადაეშალათ თვალწინ:

ცულით დაკაფულ ტოტებს შორის იწვა ნიკო, ფეხიდან სისხლი სდიოდა და თან მწარედ კვნესოდა.

თურმე ნიკო ხეზე ასულიყო და ტოტებსა ჭკაფავდა. მგელა რომ დაენახა, მღელვარებისაგან ცული ტოტისათვის აეცდინა და ფეხში ჩაერტყა, წონასწორობა დაჰკარგვოდა და ხიდან გადმოვარდნილიყო.

გია და სოსო ნიკოს მისცვივდნენ და სცადეს მისი წამოყენება, მაგრამ ნიკომ ისეთი შეჰყვირა ტკივილისაგან, რომ მათ იმ წუთში გაუშვეს ხელი.

— სისხლის დენა უნდა შევუჩეროთ, სახვევია საჭირო, — თქვა გიამ და, რადგანაც ხელთ არაფერი ჰქონდათ, ხალათი გაიძრო, გაფხრიწა და ნიკოს ფეხი შეუხვია.

— რა ვქნათ ახლა? ჩვენ ვერ წავიყვანთ, — აჩქარებულად ლაპარაკობდა სოსო და თან მაშველ საშუალებაზე ფიქრობდა.

— ვიცი, რაც უნდა ვქნათ! — წამოიძახა გიამ.

— ფანქარი თუ გაქვს?

სოსომ ფანქარი გაუწოდა. გიამ ჯიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო, ამოხია ფურცელი და წერილი დაწერა:

„პაპა, საჩქაროდ წამოდი, თან წამოიყოლე ვინმე, წამოიღეთ საკაცე. ჩვენამდე მოგიყვანთ მგელა. გია“.

— მგელა, წაუღე პაპას, წაუღე, გესმის წაუღე!.. — ეუბნებოდა შეშფოთებული გია მგელას და თან პირში წერილს აჩრიდა. მგელა თითქოს მიხვდაო, სტაცა პირი წერილს და სოფლისაკენ დაეშვა.

ნახევარი საათის შემდეგ გამოჩნდნენ აღელვებისაგან მთლად გაფითრებული პაპა და რამდენიმე თანასოფლელი საკაცით. მათ წინ მიუძღოდათ მგელა თავისი ჭკვიანი თვალებით.

**თამაზ როსტომაშვილი,**
თელავის მე-3 საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე.



ნახ. ნ. მესხიძისა და რ. თორდიასი



## რომელი უფრო ჭკვიანია?

ბ ე ტ ი: შავი დედლები ხომ უფრო ჭკვიანები არიან, ვიდრე თეთრები?

ჯ ე ნ ი: საიდან დაასკვენი?

ბ ე ტ ი: შავ დედალს შეუძლია თეთრი კვერცხი დადოს, თეთრ დედალს კი შავი კვერცხის დადება არ შეუძლია.

## მაღალი ტემპერატურა

ქალმა, რომელმაც არ იცოდა თერმომეტრის ცნობა, დაურეკა ექიმს და უთხრა:

— ძვირფასო ექიმო, გთხოვთ მალე მობრძანდეთ, ჩემ ქმარს აქვს 6... გრადუსი ტემპერატურა.

ექიმმა უპასუხა:

— მე ვერაფერს გიშველით, გა... მოუძახეთ სახანძრო რაზმს.

## რას აკეთებს ჯინა?

დ ე დ ა: ჯენი, რას აკეთებს ჯინა...

ჯ ე ნ ი: თუ ყინული სქელია, რო... გორც თვითონ ვარაუდობდა—ციგუ... რაობს, ხოლო თუ არა, ალბათ, ცუ... რაობს.

## კაპიტნის ჩაიდანი

მოსამსახურე ბიჭმა ჰკითხა კაპი... ტანს:

— მითხარით, სერ, საგანი დაკარ... გულად ჩაითვლება თუ იცი სად დე... იგი?

— რა თქმა უნდა, არა!—უპასუხ... კაპიტანმა.

— მაშინ, სერ, თქვენი ჩაიდან... არ დაკარგულა, რადგან ვიცი სადა... არის—იგი ზღვის ფსკერზეა.

ინგლისურიდან თარგმნა თბილისის 58... საშ. სკოლის მოსწავლე
**მანანა ანთაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნორჩ მეოჯახეთა კლუბი

ამ ნომრიდან ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ვაყალიბებთ ნორჩ მეოჯახეთა კლუბს.

რამდენი სითბო და სიყვარული, რამდენი ფიქრი და ზრუნვა გვაკავშირებს ოჯახთან დიდსა თუ პატარას. სწორედ ამიტომაა, რომ პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხა სამივე საფეხურის პიონერებს გავალებთ კარგად დაეუფლოთ საოჯახო საქმეს, რომ ამ მხრივ თქვენს მიერ გაღებული წვლილით შრომა შეუმსუბუქოთ მშობლებს და ოჯახის წევრებს და ამავე დროს მოემსახუროთ საკუთარ თავს.

თუ დააკვირდებით სამივე საფეხურის ნუსხებში, თქვენს მიერ წამოყენებული მოთხოვნების ამათუიმ მუხლს, იგი ბევრგან ზოგადი ხასიათისაა. ასე, მაგალითად, სიტყვები: «დაეხმარე უფროსებს საოჯახო საქმეში»—ძალიან ბევრს მოიცავს. მათში შეიძლება ვიგულისხმოთ ნავთისა და პურის ყიდვა, ცეცხლის დასანთებად სარდაფიდან შეშის ამოზიდვა, მისი დახერხვა და სხვ. მუხლი «დაალაგე ოთახი» — გულისხმობს დაგავო და სპეციალური ჩვრით მოასუფთავო იატაკი, ყოველ ნივთს თავისი ადგილი მოუნახო, დაწმინდო მტვერი. შეიძლებოდა ასევე დაგვეზუსტებინა ნუსხაში ზოგადად წამოყენებული სხვა საკითხებიც.

იმისათვის, რომ შეძლო ყოველივე ამის შესწავლა და განხორციელება, ცოდნის გარდა უფროსთა გამოცდილებაც უნდა მოიმარჯვო. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე სისტემატურად რჩევებს მოგცემთ არა მარტო ზემოდასახელებულ საკითხებზე, არამედ ისეთებზეც, რომლებიც ნუსხაში სრულებით არ არის მოხსენებული, მაგრამ იგულისხმება და მათი ცოდნა თქვენთვის უთუოდ საჭიროა. ავიღოთ თუნდაც ქრაკერვა, ქარგვა და კულინარია.

რჩევებს მოგცემთ აგრეთვე იმაზე, თუ როგორ ჩაიცვათ და როგორ დაიჭიროთ თავი საზოგადოებაში, როგორ დაიცვათ ჭამის რეჟიმი, რომ ჯანმრთელი იყოთ, ან როგორ დაიცვათ დღის რეჟიმი, რომ დროში ჩაეტიოთ და ყველაფერი აუცილებელი მოასწროთ.

## პირადი ჰიგიენა

პირველ რიგში უნდა შეძლოთ დამოუკიდებლად, უფროსების დაუხმარებლად მოემსახუროთ საკუთარ თავს, დაიცვათ პირადი ჰიგიენის ყველა წესი. გახსოვდეთ, რომ გარეგნული ფორმა ადამიანის შინაგან კულტურას ამჟღავნებს. მიხეილ კალინინის თქმით, კულტურა მეტად დიდი ცნებაა. იგი მოიცავს ყველაფერს — დაწყებულს პირის დაბანიდან, დამთავრებულს — ადამიანის აზროვნებამდე.

პირადი ჰიგიენის დაცვის მიზნით ადამიანებმა ძველთაგანვე შეიმუშავეს დღის რეჟიმი. დღის რეჟიმი თქვენცა გაქვთ, უნდა ეცადოთ მტკიცედ დაიცვათ იგი.

პირადი ჰიგიენა, უპირველესად კანის მოვლას ითვალისწინებს. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სხეული კანითაც სუნთქავს და ჯანმრთელობისათვის ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კანის სისუფთავის დასაცავად საჭიროა კვირაში ერთხელ მთელი სხეული





საპნითა და თბილი წყლით დაიბანოთ, სუფთა სხეულზე სუფთა საცვლები ჩაიცვათ, წინდები კვირაში სამჯერ მაინც უნდა გამოიცვალოთ. საწოლი თეთრეული 10 დღეში ერთხელ მოითხოვს გამოცვლას. ქვეშაგები ხშირ-ხშირად უნდა გაამზეუროთ და გაანიავოთ.

ხელებიდან ჭუჭყი სახეზე და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე გადადის, ზოგჯერ პირის ღრუს საშუალებით ნაწლავებამდეც კი აღწევს. ამიტომ ხელები, როგორც წესი, დილით ადგომისთანავე საპნით უნდა დაიბანოთ. ასევე უნდა დაიბანოთ დაწოლის წინ, ყოველი ჭამის წინ, და საერთოდ, იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ ფრჩხილების სისუფთავეს. ფრჩხილში ადვილად გროვდება ჭუჭყი, ჭუჭყში კი უპირველესად მიკროორგანიზმები ბუდობენ. უსუფთაო ფრჩხილებით ორგანიზმში ყოველგვარი ინფექციის შეტანა შეიძლება. ეს რომ არ მოხდეს, ფრჩხილები დროზე უნდა შემოიჭრათ, რაც შეიძლება მოკლედ, და ხშირხშირად გამოისუფთაოთ. ახლა თქვენთვის გასაგებია თუ რამდენი ზიანის მოტანა შეუძლია ფრჩხილების კვნეტას და რატომ უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე ჩვევას.

საჭმლის წესიერად მონელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კბილების ჯანმრთელობას. კბილების საღად შენარჩუნება კი წესიერ მოვლაზეა დამოკიდებული.. დილით კბილები ფხვნილითა და კბილის ჯაგრისით უნდა გაიწმინდოთ, ჭამის შემდეგ პირში თბილი წყალი უნდა გამოივლოთ, ეს იმიტომ, რომ საჭმლის ნარჩენის ხრწნის შედეგად პირის ღრუში მჟავა წარმოიშვება, რომელიც კბილის ემალს შლის და აღიზიანებს ღრძილებს.

თავიდან რომ აიცილოთ კბილის დაავადება, მარტო მოვლით არ უნდა დაკმაყოფილდეთ. წელიწადში 2-ჯერ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ეჩვენოთ ექიმს, შეამოწმოთ კბილების ჯანმრთელობა და საჭიროების შემთხვევაში იმკურნალოთ კიდეც.



## ტანსაცმლის ჰიგიენა

ტანსაცმელი ადამიანს იცავს სიცივის, სიცხისა და სინესტისაგან. ტანსაცმელს დიდი ჰიგიენური მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის.

ტანსაცმელი და ფეხსაცმელი ორგანიზმში სითბოს მოწესრიგების საქმეს უწყობს ხელს. ცივ, ქარიან ან ნესტიან ამინდში ტანსაცმელი სხეულის მიერ გამოყოფილი სითბოს დაკარგვას ამცირებს, გაციების, ან მოყინვის საშიშროებიდან იცავს ადამიანს. სიცხის დროს ტანსაცმელი აძლიერებს სითბოს გამოყოფას ორგანიზმიდან, ამავე დროს იცავს მას მზის დაკვრისაგანაც.

თუ ადამიანი ჩაცმულია, ორგანიზმის მიერ მიღებული საკვების წვის შედეგად



წარმოშობილი სითბო ჰაერს გადაეცემა. ჩაცმული ადამიანის ორგანიზმიდან გამოყოფილი სითბო ჰაერს კი არ გადაეცემა, არამედ საცვალს. საცვალსა და ტანსაცმელს შორის მოქცეული ჰაერის ფენა ამ სითბოს ინარჩუნებს, რის შედეგადაც სითბო არ იკარგება.

ტანსაცმელი სხეულს სიცივისა და სინესტისაგან უნდა იცავდეს, ამიტომ მისი შერჩევა ისე უნდა მოხდეს, რომ თავისი დანიშნულება გაამართლოს.

ზოგიერთს ჰგონია, ზამთარში თუ ჩაიცმევს სქელი ქსოვილისაგან შეკერილ ტანსაცმელს — არ შესცივდება. პირიქით, სქელ ტანსაცმელში უფრო ადვილად შეიძლება შეცივდეს ადამიანს ამიტომ ჯობია რამდენიმე და შედარებით თხელი ტანსაცმელი ჩაიცვათ, რადგან მათ შორის არსებული ჰაერის ფენა მეტ სითბოს შეინარჩუნებს.

ვიწრო ტანსაცმლის ტარება არაა სასურველი, რადგან სხეულზე შემოტმასნილი ხელს უშლის კანის სუნთქვას, აყოვნებს სისხლის სწორ მიმოქცევას.

ზამთარში, როგორც წესი, შალის ქსოვილს ვხმარობთ, ეს იმიტომ, რომ იგი სითბოს უკეთ ინარჩუნებს.

როგორც ცნობილია, შავი ფერის ქსოვილები უხვად შთანთქავენ მზის სხივებს და აკავებენ მიღებულ სითბოს, ამიტომ მუქი ფერის ტანსაცმელი — პალტო იქნება ის, კაბა, კოსტუმი, სვიტრი თუ სხვა რამ, ზამთარში ან ცივ ამინდში უნდა ატაროთ.

ზაფხულობით ჯობს თეთრი ან ღია ფერის ტანსაცმელი ჩაიცვათ, რადგან თეთრი მზის სხივებს ირეკლავს და არ დაგცხებათ.

სიგრილისათვის აჯობებს ბამბეულის ქსოვილი (ჩითი, ტილო) შეარჩიოთ შესაკერად, ტანსაცმელს ზომიერად ამოუღოთ გული და მოკლე სახელო მოაკეროთ.

ტანსაცმელი ტარების შედეგად ჭუჭყიანდება, როგორც გარედან მტვრისა თუ ჭუჭყისაგან, ასევე შიგნიდანაც — კანიდან გამოყოფილი ცხიმისა თუ ოფლისაგან. გაჭუჭყიანება შეიძლება იყოს მექანიკური (ტალახი და მტვერი), ქიმიური (გაზებისაგან) და ბაქტერიული (მკბენარების მეშვეობით). ჭუჭყიან ტანსაცმელს კანის სხვადასხვა დაავადება შეუძლია გამოიწვიოს. ასე რომ, ტანსაცმლის ჰიგიენის დაცვა, სილამაზეზე [illegible]ომ აღარაფერი ვთქვათ, ჯანმრთელობისათვისაც აუცილებელია.

საკუთარი ხელით უნდა გაირეცხოთ: ცხვირსახოცები, წინდები, ბაფთა, თეთრი საყელო და სამაჯურები, ფორმის წინსაფარი და სხვ.

ც. ელიგულაშვილი
ლ. პაიჭაძე



# „მაგდანას ქალი“



გამოჩენილ ქართველ მწერალ ქალს ეკატერინე გაბაშვილს პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებს ჩვენი ხალხი. საყოველთაოდ ცნობილია მისი მოთხრობა „მაგდანას ლურჯა“, რომლის მიხედვით რამდენიმე ხნის წინათ დაიდგა ამავე სახელწოდების საინტერესო კინოფილმი. მაგრამ ყველამ როდი იცის თუ როგორ შექმნა მწერალმა ეს მშვენიერი მოთხრობა.

სოფელ კავთისხევში ცხოვრობს 102 წლის მოხუცი ქალი. სოფლელები მას კატო დეიდას ეძახიან. უფროსები კი მაგდანას ქალოო,—ასე მიმართავენ. ამან დაგვაინტერესა და თხოვნით მივმართეთ დეიდა კატოს, ეამბნა ჩვენთვის თუ რატომ უწოდებენ მას „მაგდანას ქალს“.

—დედაჩემი, შვილო,—დინჯად დაიწყო მან,—დილმელი მაჩაბლიაანთ ქალი, თხინვალაანთ უბანში გამოთხოვილა. ის უბედური ადრე დაქვრივდა და წვრილშვილები თავს დავაწექით შესანახად. მამაჩემისაგან მხოლოდ ერთი ძროხა დაგვრჩა ობლებს სარჩენად. საცოდავი დედაჩემი მაწონს ჰყიდდა ქალაქში და იმით გვინახავდა. როცა წამოვიზარდე, მეც მივყავდი ხოლმე მაწვნის გასაყიდად.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივად გავემართეთ ქალაქისაკენ, გზაზე დავარდნილი სახედარი ვიპოვეთ. მოვასულიერეთ, მოვარჩინეთ და მერე იმით დაგვქონდა ქალაქში მაწონი.

აღარ მახსოვს, სახედარი მართლა მენახშირისა იყო თუ მოგვატყუა, ერთი კია, რომ აგვიხირდა. „სუდში“ გვიჩივლა,—სახედარი ჩემია და ამათ მომპარესო.

მთელმა სოფელმა გვიმოწმა, რომ სახედარი ჩვენ მომაკვდავი ვიპოვეთ და მოვარჩინეთ. „სუდმა“ სახედარი დედაჩემს არგუნა, მენახშირე კი ცარიელი გაუშვა.

ცხონებული ეკატერინე გაბაშვილი დედაჩემის დის შვილიშვილი იყო. ვეცოდებოდით პატარები და ხშირად დახმარებასაც გვიწევდა. როცა მან ჩვენი სახედრის ამბავი შეიტყო,—მოთხრობა დაწერა და ქვეყანას გააცნო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება.

ჩვენ დროს სწავლა და ჩაცმა სანატრელი იყო. დედაჩემს მხოლოდ ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში,—როგორმე გამოვეკვებეთ შვილები. ერთ დღეს იგი ჩვეულებრივად გაემართა ქალაქში მაწვნის გასაყიდად და ლუკმა-პურის ფულის საშოვნელად. უბედურს ქალაქში კონკა დაეჯახა და იქვე მოკვდა. დედაჩემის ცხედარს ისევ ეკატერინე გაბაშვილმა უპატრონა...

კმაყოფილი ვარ, რომ დღევანდელი ბალღების ბედნიერებას მოვესწარი. კინომ ჩემი დუხჭირი ბავშვობა მომაგონა. გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება:—ე, მაგ კინოში ტყუილი რათა სთქვეს? სახედარი მენახშირეს რად არგუნეს?—გულდაწყვეტით სთქვა მოხუცმა და თავისი ცხოვრების თხრობა წყნარად დაამთავრა.

**თ. ცალქალამანიძე**



კადრი კინოფილმიდან—„მაგდანას ლურჯა“.

# დღეს 17000000 ვართ!

პიონერული ამბები მოძმე რესპუბლიკებიდან

## რსფსრ

### გულითადი მეგობრები

იურა შალიკოვსკი ბავშვობიდან იყო მძიმედ დაავადებული. შარშან კი ავადმყოფობა ისე გაურთულდა, რომ სიარული თითქმის აღარ შეეძლო. გაივლიდა ათიოდე ნაბიჯს და სული ეხუთებოდა. იურა სულ სახლში იჯდა, სკოლაში ვეღარ მიდიოდა, უცდებოდა გაკვეთილები; ცხადი იყო, ამდენი გაცდენით ჩამორჩებოდა ამხანაგებს და იმავე კლასში დარჩებოდა. კლასის ამხანაგები ძალიან შეაწუხა იურას მდგომარეობამ. ბიჭები დაფიქრდნენ და ბოლოს გადაწყვიტეს თვითონ ეტარებინათ იურა სკოლაში. ეს შესაძლებელი აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ყოველ დილით ბიჭები გზად იურასთან გაივლიან ხოლმე. ყველაზე ღონიერი გენია აბრამოვი მას ზურგზე შეისვამს და მიყავს, სხვები გვერდით მოყვებიან ჩანთები მოაქვთ. მერე გენიას ვალოდია ვაოზენსკი ენაცვლება, შემდეგ სხვები, და ასე, იურა არ აცდენს არც ერთ გაკვეთილს, ამხანაგებთან ერთად არის და სწავლობს.

აი, ასეთი გულითადი ბიჭები არიან არხანგელსკის 95-ე საშ. სკოლის მე-5„ბ“ კლასში.

## ესტონეთის სსრ

### ნორჩ მეზღვაურთა კლუბი

ტალინის პიონერთა სასახლის ნორჩ მეზღვაურთა კლუბში გაცხარებული მუშაობაა. კლუბის წევრები დიდი მონდომებით აგროვებენ მასალებს სახელოვანი გემ „ვარიაგისა“ და მისი ეკიპაჟის შესახებ. შემდეგ გადაწყვეტილი აქვთ ააგონ ამ გემის მოდელი და უსახსოვრონ რესპუბლიკურ საზღვაო მუზეუმს.

ამჟამად ნორჩი მეზღვაურები სანაოსნო ლაშქრობისათვის ემზადებიან, მათ ნავით უნდა მოიარონ მთელი ესტონეთის ტერიტორია.

### პიონერული ელსადგური

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ნაკადულ ლალის ნაპირას აღმართეს პირველი ბოძი, ახლა ამ ადგილას ნორჩ მშენებელთა მიერ აგებული ელექტროსადგური 5 კილოვატ ელექტროენერგიას იძლევა. ელსადგურს უბრალოდ აწერია: „კამბიანის პიონერული ჰიდროელექტრო სადგური“. ეს იმიტომ, რომ იგი ააშენეს ელვასის რაიონის, კამბიანის არასრული საშ. სკოლის მოსწავლეებმა.

ახლო-მახლო მცხოვრებლებს კარგად ახსოვთ, ამჟამად ელექტროშუქით გაჩირაღდნებული სკოლა რარიგად ჩაბნელებული იყო ორიოდე წლის წინათ, და უხარიათ, რომ მოსწავლეებმა თვით შეძლეს ასეთი დიდი საქმის გაკეთება. ელექტროსადგური არა მარტო სკოლის გასანათებლად აძლევს დენს, არამედ მისი საშუალებით სკოლაში ამუშავებენ ფიზიკის ხელსაწყოებს. გარდა ამისა, პიონერებმა ელსადგურის აუზიც გამოიყენეს, სადაც ბანაობენ, ამრავლებენ ბატებსა და იხვებს და ხანდახან თევზაობენ კიდეც.

### აღმოაჩინეს უძველესი ქალაქის ნანგრევები

მიატაგუს არასრულ საშ. სკოლაში არის ნორჩ არქეოლოგთა რაზმი, რომელმაც აღმოაჩინა უძველესი ქალაქის ნანგრევები. როგორც ჩანს, ეს ქალაქი სოფელ კალინოს მახლობლად მდებარეობდა.

ეს ნაპოვნი ძეგლები მოსწავლეებს დიდად დაეხმარება მათი რესპუბლიკის წარსულის შესასწავლად.

## იცი თუ არა რომ...

...რომ სსრ კავშირში 105 თეატრი დგამს მოზარდი მაყურებლისათვის დაწერილ პიესებს.

.,.რომ თანამედროვე თვითმფრინავი წამში 250 მეტრის სისწრაფით მიფრინავს.

...რომ 500 გრამზე ნაკლები წონის გულს შეუძლია შეასრულოს ისეთი სამუშაო, რომელიც 65 კგ სიმძიმის ადამიანს 10 წუთის განმავლობაში 10 მეტრის სიმაღლეზე ასწევდა.

...რომ თანამედროვე მინის ქიმიური შემადგენლობა უმრავლეს შემთხვევაში ისეთივეა, როგორიც იყო შუა საუკუნეებში. საერთოდ, მინის პირველი დამზადებიდან უკვე 5 ათასი წელია გასული.

...რომ ყველაზე სასარგებლო მცენარეა ბამბუკი. მისგან ამზადებენ საჭმელს, საცხოვრებელს, იარაღს, ავეჯს, კალათებს, მილებს, ქაღალდს, თოკებს, სამკაულებს და მრავალ სხვა საგანს.

...რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში პამიდორი შხამიან ნაყოფად ითვლებოდა.

...რომ ყველაზე უძველესი გეოგრაფიული რუკა განეკუთვნება 2 000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე და თიხის დაფაზეა დახაზული.

...რომ ლავის ტემპერატურა კრატერიდან ამოფრქვევისას 1000 გრადუსამდე აღწევს.

...რომ სუფთა ყინული უფრო გამჭვირვალეა, ვიდრე სუფთა წყალი.

...რომ ოქრო და პლატინა უფრო ხშირად თვითნაბადი ფორმებით გვხვდება; თვითნაბადი ვერცხლი და სპილენძი კი იშვიათია...

...რომ ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 20 მილიგრამ იოდს შეიცავს.

...რომ გველებს ყურები არა აქვთ და ბგერების რხევას ენის (ნესტრის) საშუალებით იგებენ.

...რომ ბუზი წამში 330-ჯერ არხევს ფრთებს, პეპელა კი 2-ჯერ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტიმოთეს მთვარეზე ახტომის ამბავი



ინგლისური ხალხური ზღაპარი

ცხოვრობდა კაცი დიდი ხნის წინათ, რომელმაც მთვარეზე გადაწყვიტა ახტომა. ტიმოთე ერქვა, ხარაზი გახლდათ და მთელი დღე ფეხმორთხმული მუშაობდა. ფეხმორთხმული ჯდომა არა გვგონია ეხმარებოდეს კაცს კარგად ხტომაში, მაგრამ ტიმოთე მართლაც კარგი მხტომელი იყო.

— რა სულელური აზრია! — ამბობდა ხალხი, — მთვარეზე ახტომა?! დაუჯერებელია!

მაგრამ, დღეები გადიოდა და ტიმოთე სულ უფრო და უფრო მაღლა ხტებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ამბავი კარგა დიდი ხნის წინათ მოხდა.

ჯერ იყო და, ტიმოთე ბაღის ჭიშკარზე ხტებოდა, შემდეგ — სახლის სახურავზე, მალე — ქალაქის გალავანზე, ბოლოს ეკლესიის გუმბათზეც კი ახტა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა ტიმოთეს ამის შესახებ. დილაადრიან, როცა ხალხი გულისძილში იყო, დგებოდა და ხტომას იწყებდა.

ხალხი ცაში მაღლა-მაღლა მიმავალ შავ წერტილს რომ დაინახავდა, ამბობდა: „იცი, ეს ჩვენი ტიმოთე ხარაზია! არ ეშვება, მთვარეზე უნდა ახტომა. არა, ისე კარგად კი ხტის!

ცოლს, ამის გაგონებაც არ უნდოდა; ხშირად აფრთხილებდა ქმარს: — რას მოგცემს ეს? შენ ახლა კარგად ხტები, შეგიძლია ეკლესიის გუმბათს გადაახტე. განა ეს საკმარისი არ არის? ფეხებს მოიმტვრევ და დამრჩები ფეხმომტვრეული!

მაგრამ ტიმოთე ყურს არ უგდებდა ცოლს — მთვარეზე უნდოდა ახტომა, უნდოდა ენახა როგორი იყო მთვარე. „ნუთუ მართლა მწვანე ყველისაგან არის გაკეთებული, როგორც ზოგიერთები ამბობენ? ცხოვრობს თუ არა ხალხი იქ და თუ ცხოვრობს, რითი იკვებება? როგორია ნეტავ მთვარის უკანა მხარე?" — ფიქრობდა ტიმოთე.

კვლავ განაგრძობდა ტიმოთე ხტომას. ბოლოს, იგრძნო, რომ მზად იყო დიდი გამოცდისათვის.

მშვენიერი მთვარიანი ღამე იყო, ხალხს ბაზრის მოედანზე მოეყარა თავი. ტიმოთეს მთვარეზე ახტომის სანახავად მოსულიყვნენ. მართლაც რომ საინტერესო იყო.

— ცოტა მწვანე ყველი ჩვენც წამოგვიღე! — გაჰყვიროდნენ ერთნი.

— ფრთხილად, ტიმოთე არ დაგავიწყდეს, ყველში ნასვრეტებია და არ ჩავარდე! — აფრთხილებდნენ მეორენი.

სხვები ეუბნებოდნენ:

—მალე დაბრუნდი, ტიმოთე, დიდხანს ნუ დარჩები, ხომ იცი, მთვარე უცხო ადგილია და ტვინში არ დაგარტყას!

ტიმოთე, მშვიდად გამოიყურებოდა, მოედნის შუაგულში იდგა, ხალხის ხუმრობას ყურადღებას არ აქცევდა და იღიმებოდა.

— ერთი, ორი, სამი! — დაითვალა ტიმოთემ და...ახტა. მიდის, მიდის ტიმოთე და ხალხი ხედავს, — სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევს. საოცარი იყო — ტიმოთე ცაში დაიკარგა.

ხალხი აყაყანდა:

— ნამდვილად ახტება მთვარეზე! ნახეთ, თუ არ ახტეს!

ხალხის ნათქვამი თითქოს სინამდვილეს წააგავდა. მაგრამ, დახეთ ტიმოთე-ხარაზს! მთვარეზე ახტა კი არა, სულაც ზედ გადაახტა და უკანვე დაეშვა. საწყენი იყო!

კვლავ შეეცდება ტიმოთე მთვარეზე ახტომას? — იკითხავთ.

მაგრამ, მოითმინეთ, მკითხველო, ბოლომდე გიამბობთ. ისე მაგრად დაენარცხა მიწას, რომ ფეხი მოიტეხა.

საცოდავი!..

ამგვარად, აღარ შეეძლო ტიმოთეს ხტომა. მაგრამ ის კარგი ხარაზი გახლდათ, კვლავ თავის ხელობას დაუბრუნდა. კაცმა უნდა სიმართლე თქვას, კარგად კერავდა. ეს ტიმოთეა, — იტყოდნენ გამვლელები, — მთვარეს რომ გადაახტა. მოდიოდნენ უცნობები, ნახულობდნენ, ეკითხებოდნენ მთვარის შესახებ. მაგრამ რა შეეძლო ტიმოთეს ეთქვა? აკი, ის ზედ გადაახტა მთვარეს და მთვარე არ უნახავს.

გადიოდა ხანი. ცოლ-ქმარი ბედნიერად ცხოვრობდა. ცოლს ტიმოთეს მთვარეზე გადახტომა არ ავიწყდებოდა და ეტყოდა ხოლმე: — რა სულელური აზრი იყო! რამდენჯერ გირჩიე, გაფრთხილებული იყავ! არ დამიჯერე.

მაგრამ, ტიმოთე არაფერს ამბობდა. ან კი რა ჰქონდა სათქმელი. ის ვერ დახტა მთვარეზე და წუხდა — არ იცოდა რანაირი იყო მთვარე.

ხედავთ, ადამიანს ყოველთვის ჰქონდა სურვილი შეუცნობლის შეცნობისა.

ინგლისურიდან თარგმნა

თამარ სულხანიშვილმა

ნახ. თ. სამსონაძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა



**კარელ ჩაპეკი**

# ბედნიერი დღეები

ნახ. ნ. შალიკაშვილისა

ზ ღ ა პ ა რ ი

სიმართლე რომ ვთქვათ, ეს გლეხი, რომელსაც ირა ერქვა და მარშოვაში პატარა ქოხი ედგა, ბედნიერი სულაც არ იყო. პირიქით, მთელ დუნაიზე მას თავისი თავი ყველაზე უბედური და ნატანჯი ეგონა. ისიც მართალია — ეს ირა ღარიბი იყო; ჰყავდა მხოლოდ ერთი ბებერი ძროხა, ერთი რჩოლიია თხა, ერთი უკბილო ძაღლი, ჰქონდა პატარა საყანე მიწა და ეს იყო და ეს. მოგეხსენებათ, ამის პატრონი ჰაი და ჰარალეს ვერ დასძახებდა. ამასთან ერთად ისეთი წყეული და უჯერებელი გული ჰქონდა, სულ ყელში ებჯინებოდა: არაფერი არ მაბადია, სხვას კი, ბატონო, ყველაფერი აქვს. რამდენს ვწვალობ, ვზრუნავ, ვშრომობ და ხელში რა მრჩება? ის მირჩევნია აქაურობა მივლეწ-მოვლეწო, წავიდე სადმე გადავვარდე, ან მოვკვდეო, და კიდევ ბევრს ამგვარ ულმერთო სიტყვებს იტყოდა ხოლმე. მისი ცოლი იროვა, როგორც უფროსი, ჭკვიანად არიგებდა: „ღმერთს ნუ სცოდავ, შე უხეირო, სჯობია თოხს მოჰკიდო ხელი, ან ნამგალსა და თხას ბალახი მოუთიბო. მუდამ ჩივილი და ვიშ-ვიში სად გაგონილა? ნეტამც შენი ხმა სულ არ გამეგონა, შე ბუზღუნა, ყბედო, უქნარა!“ მოხუცი იროვა ხან ასე ეუბნებოდა, ხან ისე, ჭკვიანურად არიგებდა, მაგრამ სულ უშედეგოდ. ირა მაინც სცოდავდა ღმერთს, კვლავ ბუზღუნებდა, თან კიდევ იმასაც ფიქრობდა, რომ მისი ცოლი ავი იყო, ბოროტი ენის პატრონი, რომ იგი სტანჯავდა მას და ამიტომ უფრო უბედურად თვლიდა თავის თავს.

ერთხელ კარტოფილისთვის მიწის მოსათოხნად უნდა წასულიყო. კვლავ ბუზღუნი დაიწყო: უჰ! ცუდად არის ქვეყანაზე ყველაფერი მოწყობილი. მე წელში ვწყდები, სხვებს რა უშავთ, ბედი ულიმითო. ცოლმა დარიგება დაუწყო. კარგი ჩაგონება იცოდა, ისე კარგად ქადაგებდა,—სადმე ქალაქში მოძღვრად ივარგებდა. ირა გამწარდა, მოთმინება დაკარგა, თოხი გაისროლა და შეჰყვირა: მეყო შენგან ამდენი, წავალ და აღარ დავბრუნდებიო. წასასვლელად მოემზადა და გზას გაუდგა.

უპას რომ მიაღწია, პირდაპირ დუქანში შევიდა. მაგიდასთან დაღვრემილი დაჯდა. ყველას როგორც მტერს, ისე უყურებდა და ჯიბრზე სვამდა. ჟინი რომ მოიკლა, გულზე დარდი მოაწვა და ახლა დარდისაგან დაიწყო სმა. დარდიც რომ გაიქარვა, კარგი აზრი მოუვიდა თავში და ამასაც ცოტა დასველება სჭირდებოდა, რომ ის კარგი აზრი არ აორთქლებულიყო. ამრიგად, ერთად რომ ვიანგარიშოთ, იმდენი დალია, რაც მისთვის საკმარისი იყო. ახლა წადი და გამოიძინეო,-- უთხრა მედუქნემ. წადიო კი გეუბნებიან, მაგრამ, როცა კაცი ბევრს დალევ და გარეთ ღამეა, დასწყევლოს ღმერთმა, წასვლა არც ისე ადვილია! ირა ყოველნაირად ამოწმებდა: თხრილში სიარული სჯობდა თუ გზაზე, ოთხფეხად თუ ორ ფეხზე, სწორი გზით თუ ირიბით. ასე ყოველნაირად ცადა და ბოლოს ბორძიკით უპიცას სასაფლაომდე ძლივს მიაღწია. გზის პირას ჩამოჯდა, ბუზღუნს მოჰყვა. მთვარემ სასაფლაოს ზემოდან დაანათა და მომხიბვლელი, ნაღვლიანი შუქი მთელ მხარეს მოჰფინა. ირა შეჰყურებდა მთვარეს და უცებ ხმამაღლა მოჰყვა თავისებურად ჭიჭყინს: ვერ ვიტან იმას, რომ უხეირო თხა მყავს, ავი ცოლი, და მთელი სიცოცხლე გამწარებული ვარ, მიწა მოსავალს არ მაძლევს, ძროხა არ იწველის, ძაღლი არა ჰყეფს, კარტოფილი სარდაფში თავისთავად არ მოგორავს. ღატაკი, საცოდავი და უბედური ვარ, მწყურია და მედუქნე ფალტომ კი „წადიო“ მითხრა. ჩემი მეზობელი ტომაში ბედნიერებით სავსეა და მატეიკა ლორსაც კი ასუქებს. მხოლოდ მე ვარ ღმერთისაგან დავიწყებული, ამ ქვეყნად ჯოჯოხეთი მარგუნაო.

ამ დროს მოწმენდილ ციდან მას უფლის ხმა მოესმა: „ნუ სჩივი, ირა!“—მაგრამ ირა არ შეეპუა,---როგორ, რატომ ნუ ვჩივი!—უფრო ხმამაღლა იწყო ირამ,—ხომ სახედარივით ვმუშაობ, ჯაფას ვეწევი, წელში ვწყდები და რა მაბადია? ის ჭანჭურიც გამიხმა, ჩემი ქათამი კვერცხს ტომაშოვებთან სდებს, საცერი დამე-

ხა და ცოლი მიჯავრდება. ხალხნო, აქვე, ლომნიატოვში მასწავლებელი როგორი მებატონეა! აქაც, უპიცაში, დეკანი და ყველა ჩემზე უკეთესად ცხოვრობს, მე თანა მდევს მხოლოდ მარცხი, ხათაბალა, უბედობა. ეს რა სამართალია?

— ნუ სჩივი, ირა! — მეორედ მოესმა უფლის ხმა.

— რატომაც არა?! — მიუგო ირამ, — მთელ ქვეყანაზე ყველაზე უბედური კაცი მე ვარ: ლატარეაში — ვაგებ, ბანქოს ვთამაშობ — იქაც ვაგებ, მივდივარ ტბაზე — დუკატს ვერა ვპოულობ და, საერთოდ, არსად არაფერს. იღბალი არა მაქვს. არასოდეს არაფერი არ გამომივა, არაფერი არ ამისრულდება. ერთხელ, ოდესმე მაინც, ერთად - ერთხელ, ღმერთო დიდებულო, ერთადერთი რამე რომ ამისრულდეს, ხმას ჩავიკმინდავ. ახლა რომ მაქვს საჩივლელი, მაშინ რაღა მექნება? ჰო და, ვამბობ, რომ ეს დიდი უსამართლობაა...

— ნუ სცოდავ, ირა, — ზეციდან მესამედ მოესმა ხმა, — რომ იცოდე, რამდენად უსაზღვროა ჩემი გულშემატკივრობა. სამი ნატვრა აგისრულდება, სამი რამე შეგიძლია ინატრო და, რაც არ უნდა იყოს, ყველაფერი აგისრულდება.

— მაშ, ახლა მე მინდა... — წამოიძახა ირამ, მაგრამ უცხო ხმამ შეაჩერა: — მოიცა, ირა, ნუ ჩქარობ, კარგად მოიფიქრე, უგუნური არა მთხოვო რა, რაც ჩემს გულუხვობას არ შეეფერებოდეს. იქამდე მაინც მოიცადე, ვიდრე გონს მოიკრეფდე. ახლა კი შინ წადი.

ზეციდან ხმა მიჩუმდა. ირამ მარშოვასკენ გასწია.

— ეს კი მართალია, — გაიფიქრა ირამ, — უნდა წესიერად მოვისაზრო, ისეთი რამ ვინატრო, ღირდეს. რა ვინატრო? ახალი ცოლი? ჰმ! ორი ძროხა? სანადირო თოფი ისეთი, მეტყევეს რომ აქვს? ოქროს ძეწკვი ღიპზე? — ირას თუ კი ოდესმე რამე უნატრია ახლა ყველა ერთად გაახსენდა: — ჯიბის ექვსპირიანი დანა საძრობელათი, ხვირთქლის ჩიბუხი, ავტომანქანა, რატიბორის სასახლე, სისროვის ქარხანა, ბანქოს თამაშის დროს იღბალი, გრამაფონი, ტყავის პალტო, მონადირე ძაღლი ან ბილიარდი, კასრით ღვინო, მილიონი ფული, ორი ცხენი, ქუდი ჯეირანის ქათიბიანი, ჩეხეთის მთელი სამეფო, ან ქალაქისთავის თანამდებობა მარშოვაში, ხავერდგადაკრული დივანი, მუსიკალური საათი, ათი კასრი ოქრო, მოჩუქურთმებული ჯოხი, შადრევანი ეზოში, ელექტრონის ფარანი, ნახოდსკების მამული, ყოველდღე შემწვარი ღორის ხორცი კომბოსტოს მწნილითა და ლუდით, ან საბეჭდი მანქანა. ღმერთო ჩემო, იმდენი კარგი და ლამაზი რამ არსებობს ქვეყანაზე, ასე უცბად, აბა, რა გთხოვო?

ამდენი ფიქრისაგან ირას თავბრუ დაეხვა. — ფრთხილად, ირა, — იმეორებდა თავისთვის, — სულელური რამე არ ინატრო! ცოლს უნდა ჰკითხო რჩევა, უჭკუო ხომ არ არის, უთუოდ რიგიან რამეს მოიგონებს. დაე, სამ ნატვრაში ერთი იმას აუსრულდეს, ალბათ, აბრეშუმის კაბას ან საკერავ მანქანას მოინდომებს. დაე, იმასაც ჰქონდეს რამე! — ამ ფიქრებით თავდამძიმებული მიდიოდა ირა შინისაკენ. გვიანი იყო, ღამეში ფეხები ებლანდებოდა, თავში ყველაფერი ერეოდა. მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ მთელი მხარე მთვარის სინათლეზე სულ ახლად და უცხოდ მოეჩვენა; შეშინდა, გზა ხომ არ ამებნა, სადმე შორს ხომ არა ვარო, და ხმამაღლა წამოიყვირა: — ღმერთო ჩემო, ნეტა უკვე შინ ვიყო!

ეს სიტყვები დაამთავრა თუ არა, იმავე წამს შინ — თავის ქოხში, მარშოვაში გაჩნდა. შინ რომ იყო, ამას მხოლოდ სუნით მიხვდა და იმით, რომ დერეფანში, როგორც ტომარაში ისე ბნელოდა. ახლა კი მიხვდა, რომ ერთი სურვილი უკვე აუსრულდა.



— რა ვუყოთ, ორი სურვილი ხომ კიდევ ამიხდება, — თავს ინუგეშებდა ირა, — ეს ოხერი, ახლა ფრთხილად უნდა ვიყო, რომ კიდევ არაფერი ვინატრო. გამოვიძინებ კიდეც და ორ რამეს დილით ვინატრებ; თუნდაც გრამაფონს და ჩეხეთის სამეფოს, ან სჯობს ბილიარდს და შემწვარ ღორის ხორცს. მაგრამ ამ უკუნეთში ტანსაცმელი როგორ გავიხადო? ისიც არ ვიცი, ჩემი ლოგინი საით არის. ჯერ წყალს დავლევ. ღმერთო ჩემო, ის მაინც ვიცოდე, ასანთი სად დასდო ჩემმა ბებრუხანამ! — ეს იფიქრა თუ არა, ასანთის კოლოფი ხელში ეჭირა.

— ვაგლახ! — წამოიძახა შეშინებულმა ირამ, — ეს ხომ უკვე მეორე ნატვრაა, რა დამემართა! ვაი, ჩემო სულელო თავო! ერთი ნატვრაღა დამრჩა! ახლა უნდა საუკეთესო რამ ვინატრო! კი, მაგრამ ეს ხომ უბრალო რამ არ არის. საცოდავი ჩემი ცოლი დილით დედოფლად რომ გამოიღვიძებს, ძალიან კი შეეშინდება. მერე რამდენი მსახური, ათასი გაიძვერა ლაქია, მინისტრი და მთავარსარდალი გარს შემოეხვევა, კისერზე დააწვება, პატარა საქმე ხომ არ არის იმდენი ხალხის ჭმევა. არა, ჯერ უნდა შევეკითხო, დედოფლობას ინდომებს თუ არა. რა დამბლადაცემულივით სძინავს! ღმერთო ჩემო! ნეტა ახლა გამოიღვიძოს! — სთქვა თუ არა ეს სიტყვები, ცოლი ლოგინზე წამოჯდა: — რას მაღვიძებ, შე უქნარა, ბინძურო, ყბედო?!

ახლა კი მიხვდა ირა, რომ მესამე წადილიც აუსრულდა და რომ აღარაფრის ხოვნა აღარ შეეძლო. ჯერ წყევლა კრულვით უნდოდა ცოლისათვის ეპა'უხნა, მაგრამ, როცა დაინახა, როგორი ნატანჯი იყო მისი ცოლი და აღარ შეეძლო მეუღლე არც ჩეხეთის დედოფლად გაეხადა და არც მისთვის აბრეშუმის კაბა ეყიდნა, ინანა. მიუახლოვდა, ჭაღარა თმებზე ხელი გადაუსვა და უთხრა: — არა უშავს რა, მარქენკო, იცი რა, მე მხოლოდ იმისათვის გაგაღვიძე, მინდოდა მეთქვა შენთვის, რომ ნუღარ გამიჯავრდები, ჰოო? და რომ მეც აღარ გავბრაზდები, არც ვიბუზღუნებ, ჰოო? კრინტს აღარ დავძრავ. გატვრენილი ვივლი, კარგი? ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც შენ გინდა.

— ირა, ნეტა შენ თუ ამას შესძლებ! — მიუგო მოხუცმა იროვამ.

— შევძლებ! — გადაჭრით უპასუხა ირამ, — არასოდეს გულს არ მოვიყვან, გულნაკლულად არ ვიქნები.

და იცით, მეგობრებო! ირამ დანაპირი გაამართლა და მას აქეთ ბედნიერად იგრძნო თავი. რადგან ცდილობდა საზრდო ეშოვნა, საქმეც უკეთ წაუვიდა, თუმცა მარშოვაში ქალაქისთავად არ აურჩევიათ და არც გრამაფონი და არც ავტომანქანა არ



შეუძენია. სამაგიეროდ ექვსპირიანი დანა საძრობელათი შეიძინა და სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდა.

ჩეხურიდან თარგმნა
**ელენე ერისთავმა**

## პიონერული ცხოვრების მატიანედან

**1922 წელს** საქართველოში ჩამოყალიბდა პიონერული ორგანიზაცია.

**1926 წლიდან** თბილისში გამოდის ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი «პიონერი».

**1927 წლის 18 აპრილს** თბილისში გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი.

**1928 წლის 12 ნოემბერს** თბილისში გაიხსნა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი.

**1930 წლიდან** თბილისში მუშაობს აგრობიოლოგიური სადგური, რომელიც 1933 წელს გარდაიქმნა ნორჩ ნატურალისტთა ცენტრალურ სადგურად.

**1931 წლის 6 ივლისს** გამოვიდა გაზეთ «ნორჩი ლენინელის» პირველი ნომერი.

**1934 წლის აპრილში** თბილისში გაიხსნა თოჯინების თეატრი.

**1935 წელს** თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით აშენდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა.

**1936 წლის 22 მარტს** მოწინავე ქართველი საბჭოთა ადამიანების დელეგაციის წევრი, თბილისის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლე პიონერი ეთერ გვანცელაძე კარგი სწავლისა და საზოგადოებრივი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა «საპატიო ნიშნის» ორდენით.

**1937 წლის მარტში.** გმირული ესპანეთის მებრძოლთა ბავშვებმა საბჭოთა პიონერებს გამოუგზავნეს ქალაქ ბარსელონის პიონერთა დროშა.

**1938 წლის 2 იანვარს** ლენინგრადის პიონერთა სასახლეში გაიხსნა მოსწავლეთა მესამე საკავშირო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრში მონაწილეობდა 18 ქალაქის გუნდი. პირველი ადგილი წილად ხვდათ ლენინგრადელ მოსწავლეებს. პირად პირველობაში გაიმარჯვა დღეს სახელგანთქმულმა დიდოსტატმა ვასილ სმისლოვმა.

**1941 წლის 2 მაისს** გაიხსნა ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

**1951 წლის სექტემბერში** თბილისში დაარსდა ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპილოზე მონადირე

აფრიკაში უხსოვარი დროიდან არსებობს ასეთი ლეგენდა: როდესაც სპილო სიკვდილის მოახლოვებას იგრძნობს, მიაშურებს „სპილოთა სასაფლაოს“ და იქ კვდება. ეს ლეგენდა წარმოშვა ერთმა მეტად უცნაურმა ამბავმა. ჯერ არც ერთ ადამიანს, იქნებოდა იგი აფრიკის ადგილობრივი მკვიდრი, თეთრკანიანი მონადირე თუ მოგზაური, ბუნებრივი სიკვდილით მკვდარი სპილო არასოდეს არ უნახავს. „სპილოთა სასაფლაოს“—ათასეული წლების მანძილზე, ამ ხელუხლებელი განძის პოვნა მრავალი ადამიანის ოცნება გახდა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მრავალი ევროპელი მიაწყდა აფრიკის გაუვალ ჯუნგლებს· მათ ყოველ ნაბიჯზე ელანდებოდათ გოლიათი ცხოველების ჩონჩხით მოფენილი ხევები და ველები, მაგრამ ყოველგვარი ცდა, მიეგნოთ „სპილოთა სასაფლაოსათვის“ ამაო იყო.

პაულ ანიკსტერის მოთხრობას „სპილოზე მონადირე“ საფუძვლად დაედო ლეგენდა „სპილოთა სასაფლაოს“ შესახებ.

**პაულ ანიკსტერი**

ნახ. დ. ხახუტაშვილისა

ვინ არ იცნობდა მდინარე ზამბეზზე გოლიათ სპილოს ელ-რობოს. ადამიანებსა თუ მხეცებს ყველას ეშინოდა მისი. ახალგაზრდობაში ჯოგიდანაც კი გააძევეს ავი ხასიათის გამო, მაგრამ ამანაც ვერ გამოასწორა და თვალებში მუდამ ბოროტების ცეცხლი უელავდა. ამ დღეს ელ-რობო თავს შეუძლოდ გრძნობდა. იგი მდინარის ნაპირას იწვა და ტალახის აბაზანებს იღებდა. მოულოდნელად, შორეული ჯუნგლებიდან მჭექარე ნაღარის მსგავსი ხმა შემოესმა. იგი ელ-რობოს არა ერთხელ სმენია და კარგად იცოდა, რისი მაუწყებელიც იყო: სპილოების ჯოგი ახალ წინამძღოლს ირჩევდა. ელ-რობო წამოდგა. პატარა თვალები სიბრაზისაგან კიდევ უფრო დაუპატარავდა, ყურები გაატყლაშუნა, ხორთუმი მაღლა ასწია და ისეთი ღრიალი ამოუშვა, რომ მთელი ჯუნგლები შეზანზარდა. იგი უხმობდა თავის ახალგაზრდა მოწინააღმდეგეს, ახლადარჩეულ წინამძღოლს ორთაბრძოლისათვის. რამდენიმე წამის შემდეგ კი ელ-რობო გაფრენილი რაშის სისწრაფით მიჰქროდა მეტოქისაკენ. მის მძიმე ფეხებქვეშ მიწას ზანზარი გაჰქონდა.

კარგა ხანს ირბინა, ბოლოს დაინახა სპილოების დიდი ჯოგი; წრე შეეკრათ და, როგორც ჩანდა, ელ-რობოს ელოდებოდნენ. ყველაზე წინ იდგა ცამეტიოდე წლის სპილო, ეს იყო ახალი წინამძღოლი.

ახალგაზრდა და ბებერი სპილო გაშმაგებით ეძგერნენ ერთმანეთს. გაიმართა ორთაბრძოლა. ჭიდილმა სამ საათს გასტანა. ბებერ სპილოს თანდათანობით ეცლებოდა ძალღონე, ახალგაზრდა სპილო კი გაафთრებით უტევდა. არ მოელოდა ელ-რობო; ბოლოს წატორტმანდა და დაეცა. ახალგაზრდამ გაიმარჯვა... ელ-რობო ხვილებითა და ქლოშინით წამოდგა. ღრმა ჭრილობებიდან სისხლი სდიოდა.

ერთადერთი სურვილიღა ჰქონდა ელ-რობოს, მიეღწია იმ ადგილამდე.

სადაც მის წინაპრებს ეძინათ მარადიული ძილით და მშვიდად განეტევა იქ სული. სპილოთა სასაფლაოები, ამბობენ, არაერთი და ორია ჯუნგლებში, მაგრამ ჯერ არცერთ მონადირეს არ ღირსებია, მიეგნო რომელიმე მათგანისათვის. არ იცოდა არც ელ-რობომ სად უნდა ეძებნა ეს ადგილი; იგი ინსტიქტს მიჰყავდა კილემანჯაროს მთებისაკენ.

* * *

სპილოებზე მონადირე ნაილი შორიდან უთვალთვალებდა სპილოების ჭიდილს ისე, რომ არავის შეემჩნია. უკვე ორი კვირაა, რაც ამ ადგილის შორიახლოს დაბანაკდა მდინარის ნაპირზე, მთელი დღეები დაეხეტებოდა ჯუნგლებში და დაეძებდა სპილოს ნაკვალევს. წინა დღით ერთი მისი თანმხლები ადგილობრივი ზანგი მდინარის ნაპირას უზარმაზარ სპილოს ნაფეხურს წააწყდა. ნაილი გაჰყვა ამ კვალს და სპილოთა დღევანდელი ბრძოლის ადგილს მიადგა. ფრთხილად აცოცდა ხეზე, იქიდან უთვალთვალებდა სპილოთა ჭიდილს. ბრძოლა დამთავრდა, ჩამოღამდა, სპილოების ჯოგი ტყეში მიმოიფანტა. ნაილიმ დრო იხელთა და ხიდან ჩამოვიდა, მაგრამ ამასობაში დაჭრილი გოლიათიც სადღაც გაუჩინარდა.

მზის პირველ სხივთან ერთად შეუდგა მონადირე კვალის ძებნას. მრავალი წლის განმავლობაში ნადირობდა სპილოებზე და იცოდა ყველა მათი ჩვევა. მას არ გამორჩენია მხედველობიდან, რომ გოლიათი სპილო მძიმედ იყო დაჭრილი, იცოდა ისიც, რომ მისი ერთადერთი გზა ახლა სასაფლაოსკენ იყო. კვალი სულ უფრო სისხლიანი ხდებოდა, მას ნაილი სამხრეთისაკენ მიჰყავდა. გზა მთებისაკენ მიიწევდა. არაფერს შეეძლო ნაილის შეჩერება, არც შუადღის მცხუნვარე მზეს და არც უწყლო, ქვიან უდაბნოს, ასეთი ბედნიერი შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ადრე თუ გვიან სისხლიანი კვალი ნაილის სპილოთა სასაფლაომდე მიიყვანდა და მაშინ... იგი უმდიდრესი ადამიანი გახდებოდა მთელ ქვეყანაზე. ნაილის ბედმა გაუღიმა.

მოსაღამოვდა, ხრიოკ უდაბნოს ბოლო არ უჩანდა. არც ერთი ხე, არც ერთი ბუჩქი. სურსათი შემოელია. მათარაში სულ რამდენიმე წვეთი წყალიღა დარჩენილიყო. ნაილი მთის წვერზე ავიდა, თვალი მიმოავლო გარემოს. სამხრეთისაკენ ზღაპრულ ურჩხულივით გაწოლილიყო მთაგრეხილი. მთვარე ამოვიდა, მონადირეს დაღლილობისაგან ფეხები ეკეცებოდა, თვალები ეწვოდა. მთელ სხეულში მტვრევას გრძნობდა, გამოსცალა წყლის უკანასკნელი წვეთები, მიწაზე დაემხო [illegible] ჩაეძინა.

ნაილი დილის მზემ გამოაღვიძა. იგი გაჰყვა გოლიათ ელ-რობოს კვალს. კვალი ახლა ქედს მიჰყვებოდა. გზა სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. ბოლოს ნაილი ერთ რომელიღაც მწვერვალზე ავიდა. იქ ფეხი დაუცდა და დაგორდა. როცა გონს მოვიდა, აღმოჩნდა, რომ გამოქვაბულის წინ იწვა. იგი წამოდგა, ჩირაღდანი აანთო და გამოქვაბულში შევიდა. გამოქვაბულში მძიმე ჰაერი იდგა. მიწაზე უთვალავ სპილოთა ნაკვალევი აღბეჭდილიყო. ნაილი გაჰყვა მათ.

კარგა ხანს იარა ნაილიმ და, როცა გამოქვაბულის გასასვლელს მიაღწია, გაშეშდა: გამოქვაბულიდან ასიოდე ნაბიჯის მოშორებით გაწოლილიყო ხეობა, ისეთი ვიწრო, რომ მის სიღრმეს მზის სხივებიც ვერ სწვდებოდა. ეს ხეობა მან ჯერ კიდევ მთის წვერიდან შენიშნა და რაც ვულკანიდან ამოხეთქილი ლავა ეგონა, სპილოს ძვლით მოფენილი მინდორი აღმოჩნდა. მონადირე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. ნუთუ მან იპოვა სპილოთა სასაფლაო, ის ადგილი, საითკენაც ათასეული წლების მანძილზე მოემართებოდნენ ეს უზარმაზარი ცხოველები, და სადაც ისინი პოულობდნენ თავიანთ უკანა-





ეროვნული ბიბლიოთეკა

სქნელ სავანეს. ნაილმა პირველმა მიაგნო ამ ადგილს და დღეიდან იგი ერთადერთი მფლობელი გახდა საუკუნეების მანძილზე ხელუხლებელი ზღაპრული სიმდიდრის. გაბრწყინებული თვალებით იგი ხარბად ათვალიერებდა მის წინ აზიდულ სპილოს ძვლის მთებს.

უეცრად ჩამობნელდა. მზეს თითქოს ღრუბელი გადაეფარა. ნაილი შეკრთა. იმავე წამს შემოესმა საშინელი ღრიალი და მძიმე ფეხების ბაგაბუგი. ნაილიმ მოიხედა. მისკენ მოექანებოდა რაღაც უზარმაზარი რუხი მასა. ეს იყო ელ-რობო. ჭრილობებიდან სისხლი ჩქეფად სდიოდა... რის ვაივაგლახით მიაღწია ელ-რობომ თავის მარადიულ სამყოფელს, სადაც სურდა მშვიდად მომკვდარიყო. მაგრამ აი, მოვიდა ვიღაც თავხედი უცნობი და დაურღვია მყუდროება. ელ-რობოს დანახვაზე ნაილიმ გაიფიქრა, რომ დადგა მისი აღსასრული, მაგრამ ბედად კლდეში ნაპრალი შენიშნა, შიგ შეძვრა და მიიყუჟა.

მაგრამ სულ მალე ნაილიმ ელ-რობოს ოხშივარივით ცხელი სუნთქვა იგრძნო სახეზე. გრძელი ხორთუმი ნაპრალის კედლების გასწვრივ ეძებდა მას. ხსნა არსაიდან ჩანდა, ყველაფერი დასრულდა თითქოს. მაგრამ, აი, საკვირველება, სრულიად შემთხვევით კლდეს მოსწყდა უზარმაზარი ლოდი და სწორედ ნაპრალის პირს ჩამოეფარა. ამაოდ ცდილობდა ცოცხალ-მკვდარი ელ-რობო მის გადაგორებას. ერთ ხანს კიდევ იცოდვილა... შემდეგ სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ამ უკაცურ ხეობაში კვლავ გაისმა ადამიანთა ხმები. ზანგები თავის დაკარგულ ამხანაგს დაეძებდნენ.

ნაილი დიდი გაჭირვებით გამოფოფხდა გამოქვაბულიდან. მის დანახვაზე ზანგები ადგილზე გაშეშდნენ. ნაილი მთლად გაჭაღარავებული იყო.

ნაილიმ სამუდამოდ მიატოვა აფრიკა და სპილოებზე ნადირობა. ხევში ნაპოვნი სიმდიდრის შესახებ კი სიტყვაც არ უთქვამს არავისთვის. დაე, ნუღარავინ დაარღვევს მკვდარი გოლიათების მყუდროებას.

გერმანულიდან თარგმნა

**ლია ასათიანმა**






## კიტრმა იმსხვერპლა რამდენიმე ადამიანი

არსებობს გადმოცემა, რომ კიტრმა იმსხვერპლა ადამიანები.

კიტრი სასაუზმე-საგემოვნო პროდუქტია. წნილადჩადებული იგი აძლიერებს მადას, მასში მოიპოვება ადამიანისათვის აუცილებლად საჭირო „ა" და „ცე" ვიტამინებიც. კიტრი ადამიანისათვის 6.000 წლის წინათ გახდა ცნობილი. მისი სამშობლო ჩრდილო-დასავლეთი ინდოეთია. ამ მხარეში ახლაც ხარობს გარეული კიტრი, იგი ტყეებში ხეებს ეხვევა ლიანასავით, ამიტომ კიტრის მცენარეს ინდურ ლიანასაც უწოდებენ.

კიტრი პირველ ხანებში ისეთ იშვიათობას წარმოადგენდა, რომ მეფეები მას ერთმანეთს სთავაზობდნენ და საჩუქრად უგზავნიდნენ. თურქეთის მკაცრსა და მეტისმეტად ხარბ სულთანს მუჰამედ მეორეს ერთხელ საჩუქრად მიუღია ერთი ცალი კიტრი. ეს საჩუქარი მუჰამედის სასახლის შვიდ კარისკაცთაგან ერთ-ერთს შეუჭამია და, ამგვარად, მუჰამედ მეორემდე ვერ მიუღწევია. ამის გამო განრისხებულ სულთანს უბრძანებია მუცელზე გაეჭრათ შვიდივე კარისკაცი.

## ვინ აღმოაჩინა ყავა

ნ. ვერზილინი თავის წიგნში „რობინზონის კვალდაკვალ" მოგვითხრობს ერთ არაბულ ლეგენდას, რომლის მიხედვით ყავა, რომელსაც სვამენ რძით და მის გარეშეც, თურმე აღმოუჩენია თხებს. ერთ მწყემსს შეუმჩნევია, რომ თხებმა, რომლებმაც შეჭამეს ერთ-ერთი მცენარის ნაყოფი, არ იძინებდნენ, ფხიზლობდნენ, ხტოდნენ, თამაშობდნენ განუწყვეტლივ. ეს ამბავი მწყემსმა უამბო იქვე, ახლო მთაში მონასტრის ერთ ბერს. ბერმა გადაწყვიტა ეჭამა ამ მცენარის ნაყოფი, რომ არ დასძინებოდა მონასტერში ღამეების თევის დროს. მწყემსის ნათქვამი გამართლდა — ყავის ნაყოფის ნახარშს კარგი არომატი აღმოაჩნდა, დაახშო შიმშილი და წყურვილი, ჰიეცა სიმხნევე, სხეულიდან განდევნა სიზარმაცე და ძილი.

ამ თვისებების გამო მსოფლიოში გავრცელდა თხების მიერ აღმოჩენილი ყავა.

**ანა ნემსაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეტენდენტი №1



იგი იდგა ყველაზე წინ, როგორც გამარჯვებული, ყვავილების თაიგულით ხელში. შეკრებილი საზოგადოება მას ტაშს უკრავდა, აღტაცებული ულოცავდა ბრწყინვალედ აღებულ პირველ ადგილს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირზე, რომელიც ოთხი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა იუგოსლავიის კურორტ ვრნიაჩკა—ბანიაში. თვითონაც, ამ ზეიმის ერთ-ერთ მიზეზს, შავთვალა, პატარა ტანის ქართველ ქალიშვილს ნონა გაფრინდაშვილს ლოყები ასწითლებოდა, ღელავდა.

საზეიმო ცერემონიალი გრძელდებოდა. ნონა გაიტაცა მოგონებებმა, გაიხსენა გარდასული ბრძოლის დღეები...

როდის იყო ეს, მზეთამზეთში რომ ვისვენებდით? — იგონებდა ნონა, — დედისაგან გამიგონია, მაშინ ხუთი წლისა ვიყავი. სწორედ მაშინ მოვინათლე საჭადრაკო შეჯიბრებაში მონაწილეობით. გასაკვირია, როგორ დავიკავე მესამე ადგილი 30 კაცში? ალბათ, არავინ არ იცოდა თამაში, ან მითმობდნენ, რომ არ ავლრიალებულიყავ. რამდენს მითმობდნენ ძმებიც—ემზარი, თამაზი, ჯემალი და მურადი, როცა ვერაფრით ვერ მიცილებდნენ თავიდან ვერც ფეხბურთის, ვერც ჭადრაკის თამაშის დროს. მხოლოდ მეზობელ ბიჭებთან მოგებებმა შემიქმნა ავტორიტეტი მათ თვალში და აღარ მაგდებდნენ.

ნონამ გაიხსენა ისიც, რომ ნამდვილ მოჭადრაკეებს პირველად შეხვდა ბათუმში, საქართველოს მოსწავლეთა გუნდურ პირველობაზე 1952 წელს. მაშინ გაიცნო მანანა ტოგონიძეც. როგორ უნდოდა მასავით ცოდნოდა თამაში! უკვირდა, რატომ კითხულობდა მაშინ მის შესახებ მანანას მასწავლებელი ვახტანგ ქარსელაძე, რატომ არ ცდილობდა მის მაგიდას. გვიან მიხვდა რა სიკეთეს უქადდა ეს ყურადღება.

„გმადლობთ, პატივცემულო მასწავლებელო! — ამბობდა გულში მადლიერი ქალიშვილი, — თქვენი ღვაწლიცაა იმაში, რომ დღეს ასეთ სიხარულს განვიცდი. თქვენ პირველმა გამიყვანეთ საკავშირო სარბიელზე, დამილოცეთ გზა შორეულ საჭადრაკო მწვერვალებისაკენ“.

ნონამ ნათლად წარმოიდგინა 1956 წლის ამბები. მანამდე ხომ იგი ზუგდიდიდან თბილისში გადმოვიდა დეიდა ტატიანასთან, მეცადინეობდა პიონერთა სასახლეში ვ. ქარსელაძესთან. მერე—გამარჯვებები თბილისის პირველობაზე, საქართველოს ჩემპიონატში და საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში. შემდეგ—დებიუტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში.

იგი უყურებს თავის მწვრთნელ მიხეილ შიშოვსა და იგონებს: 1957 წლიდან ერთად მუშაობენ. ერთგული პედაგოგი გულუხვად გადასცემდა მას თავის მდიდარ გამოცდილებას, აცნობდა ჭადრაკის საიდუმლოებებს. თანამშრომლობის პირველი ნაყოფი მათ იზეიმეს 1958 წელს, როცა ნონას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მესამე ადგილისათვის, პირველს ქართველ ქალთა შორის, მიანიჭეს სპორტის ოსტატის წოდება ჭადრაკში.

დიდი სამსახური გაუწიეს ნიჭიერ გოგონას თბილისის 1960 და 1961 წლების საერთაშორისო ტურნირებმა, რომლებშიც მან შესაბამისად მეორე და პირველი ადგილები დაიკავა. აგერ, პრეტენდენტთა ტურნირზე ერთი პარტიაც არ წააგია. ტურნირებმა ასწავლეს თამაში უცხოელ მოჭადრაკეებთან, შემატეს რწმენა საკუთარ ძალებში, სიმტკიცე, და მოუპოვეს საერთაშორისო ოსტატის საპატიო წოდება. ასე მოვიდა იგი პრეტენდენტთა ტურნირამდე.

— განა ვიფიქრებდი, რომ ვაჯობებდი მსოფლიოს 16 უძლიერეს მოჭადრაკეს? თურმე შეიძლება გაიმარჯვო თუ... მაინც რა? — ეკითხებოდა იგი თავს, თან პასუხობდა:

— კარგმა სტარტმა ამაგულიანა. დასაწყისში საბჭოთა მოჭადრაკეებთან, რომლებიც პირველობის მთავარი კანდიდატები იყვნენ, 3,5 ქულა დავაგროვე 4-დან. შემდეგ არ დავიბენი სპორტული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობის პარტიაში ლაზარევიჩთან. ამ პარტიის მოგებამ გამიხსნა გზა პირველი ადგილისაკენ.

ასე ფიქრობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ წარმატება მარტო ამას არ მოუტანია. დიდმა დაუღალავმა მუშაობამ თავის თავზე წლების მანძილზე, სიყვარულმა ჭადრაკისადმი, სახელმწიფოს ზრუნვამ მისი დიდი ბუნებრივი ნიჭის განვითარებაში—აი, კიდევ რამ გაამარჯვებინა ძნელ ტურნირში.

... მოგონებათა ნაკადი შეწყდა. მას ულოცავდნენ გამარჯვებას საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები, გამოჩენილი დიდოსტატები, ოსტატები; გადასცემდნენ ჯილდოებს დასასრულს მიკროფონთან მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტი ნონა გაფრინდაშვილი:

— ყველას მადლობას მოგახსენებთ, — თქვა მან, — დიდი მადლობა ჩემს მწვრთნელს, მზიურ საქართველოს და დიდ საბჭოთა სამშობლოს ამ ბედნიერი დღისათვის!

თენგიზ გიორგაძე



# გმირების მოსაგონებლად

**(ფერეიდნელ ქართველთა ერთი რიტუალი)**

სამშობლოს მოწყვეტილი და შაჰ-აბაზის მიერ ფერეიდანში გადასახლებული ქართველები პირველ ხანებში უსაზღვრო მწუხარებამ შეიპყრო. ან კი, კაცმა რომ თქვას, ამ სამოთხის მსგავს წალკოტიდან იმ გადახრუკულ უდაბნოში მოხვედრილთ სასიხარულო რა უნდა ჰქონოდათ?!

იგონებდნენ მამა-პაპათა საფლავებს, ბაღ-ვენახებს, მარან-საწნახლებს, მთასა და ბარს, აქ დატოვებულ ნათესავ-მეგობრებს, ციხე-ტაძრებს, და უფრო აუტანლად ეჩვენებოდათ ძალდატანებით ახალ სარწმუნოებაზე მოქცევა.

— მეტი აღარ შემიძლია, ხალხო! — მიმართა გულიდან ამომსკდარი ხმით თავის უახლოეს მეგობარს სამშვილდელმა პაპუნა ჭოღრათაშვილმა. — თუნდა გზაში დაგვხოცონ, ერთბაშად მივაწყდეთ საზღვარსა და საქართველოსაკენ გზა გავიკვლიოთ. ვინც გავიდეს, გავიდეს, დეე სამშობლოშიც ის ჩავიდეს. მართალია, ამისათვის თავზე ხელს არ მოგვისვამენ და მდევრებს გამოგვიყენებენ, მაგრამ ასეთი რამ უსისხლოდ არასოდეს არ გაკეთებულა. ზოგი თუ დავიხოცებით, მერე რა მოხდა? შევეწიროთ იმათ ბედნიერებას, ვისაც სამშობლოში ჩასვლა ეღირსებათ.

— რას ამბობ, ბიჭო, პაპუნ! ეგ როგორ იქნება? შახი ისედაც განრისხებულია ჩვენზე და სწორედ ამიტომაც ჩაგვყარა ამ დღეში. ახლა რომ ეს გაქცევაც მოვაწყოთ, სულ პირწმინდად გაგვჟუჟავს და მბღავანს აღარ გაგვიშვებს. მაგისთანა თამაში არ შეიძლება! — უთხრა დარიგების ტონით მარტყოფელმა ზაქარა თევდორაშვილმა.

— ეეე... ბიძია ზაქარია! ასეთ სიცოცხლეს მე ათასწილად მიჯობს მტერს შევაკვდე. თავად იმას ვნანობ, რომ მაშინ აქამდე ჩამოვყე ცოცხალი. არც ისეთი პატარა ვიყავი, რომ მტრისათვის ვერაფერი მევნო. ახლა მაინც უნდა ვეცადო. იქნებ გავიდე და თუ ამ ცდაში მოვკვდები, არ ვდარდობ, გათათრებას ის მირჩევნია. გათათრებული წინაპრებს საიქიოს რაღა პირით შევხვდე? რას მეტყვიან?

—შენ ჯერ, შვილოსა, საიქიოს თავი დაანებე. იქ რას გეტყვიან, ეგ კაცმა არ იცის. იმისათვის, რომა, იქიდან მოსული ჯერ არავინ გვინახავს. საქმე აქ არის, აქა. რა პასუხს აძლევ ამოდენ ხალხსა? ძლივ ცოცხლები გადარჩნენ და შენ ისევ ნადირს აძლევ პირში? ცოცხალი კაცი კი ღონიერია. ვინ იცის საიდან დაუბეროს ქარმა და ჩვენი მტრის საქმე საით წაიღოს. ანდა იქნებ ერთხელ კიდევ წაღმა შემოტრიალდეს საქართველოს ბედის ჩარხი და ჩვენც დაგვიხსნან ამ უბედურებიდან. მანამდე კი ძალით თავები რატომ უნდა დავიხოცოთ?

აწყნარებდა თედორაშვილი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო სამშობლოს მონატრებულ ხალხის გულში მტრის კლანჭებიდან თავის დაღწევის სურვილი, რომ, რაკი




## ასე იზრდება დედამიწის მოსახლეობა

ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე მთელ დედამიწაზე ცხოვრობდა 306 მილიონი ადამიანი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა 500 მილიონ კაცს. აქედან ნახევარზე მეტი ცხოვრობდა უძველესი კულტურის კერებში—ჩინეთსა და ინდოეთში. 100-100 მილიონი კაცი—ევროპასა და აფრიკაში, ხოლო ამერიკაში და ავსტრალიაში—10—15 მილიონი.

დიად აღმოჩენათა ეპოქამ ხელი შეუწყო მოსახლეობის სწრაფ ზრდას. 1825 წელს მისმა რაოდენობამ მილიარდს მიაღწია. ამ რაოდენობიდან აზიაზე მოდიოდა 600-ზე მეტი, ევროპაზე—225-მდე, აფრიკაზე 100 მილიონი მოსახლე.

დედამიწაზე მცხოვრებთა რიცხვმა 1930 წელს ორ მილიარდს მიაღწია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველთვიური სტატისტიკური ბიულეტენის ცნობით. 1959 წლის 1 ივლისისათვის ჩვენი პლანეტის მოსახლეობა ორ მილიარდ 905 მილიონს უდრიდა; 1958-1959 წლებში მცხოვრებთა საშუალო წლიური მატება 18 პროცენტს შეადგენდა. ზრდის ამ ტემპების მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ამჟამად დედამიწაზე მოსახლეობის რიცხვმა სამ მილიარდს მიაღწია,

## მოლაპარაკე დელფინები

რომელ თქვენგანს არ წაუკითხავს ან არ მოუსმენია ზღაპრები, რომელთა გმირებსაც ჩინებულად ესმით ფრინველების, ცხოველებისა თუ მწერების ენა. ცხადია ასეთი ადამიანები მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფია. მაგრამ, აი, ამერიკელი ფიზიოლოგი ჯონ ლილი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ უახლოეს ათ წელიწადში ადამიანი შესძლებს ,,საუბარი გააბას" ცხოველებთან.

რამდენიმე წელიწადია დოქტორი ჯონ ლილი საინტერესო დაკვირვებებს ახდენს დელფინებზე. მისი ლაბორატორიის სპეციალურად მოწყობილ აკვარიუმებში ხუთი ახალგაზრდა დელფინი ცხოვრობს. ისინი დოქტორის მეტად ნიჭიერი ,,მოწაფეები" აღმოჩნდნენ და უკვე ისწავლეს რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ ჩაეწვეთათ მაცდური იმედი, ყურად აღარ იღეს თევდორაშვილის მსგავსთა ჭკვიანური დარიგებანი, გაჰყვნენ აპილპილებულ პაპუნას და ერთ მშვენიერ დღეს სამიათასამდე ქართველმა, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ კეტებით, ნაჯახებით, შუბებით, ხანჯლებით და ვინ იცის რით, გამოარღვია საქართველოსაკენ მომავალ გზაზე მდგარი მოსაზღვრეების რკალი. წამოსულან სამშობლოში, მაგრამ მალე ცხენოსანთა უთვალავი ლაშქარი დასწევიათ, გზა გადაუჭრიათ ქართველებისათვის, ჩაუმწყვდევიათ ერთ უწყლო ხეობაში და ისე ამოუჟუჟიათ იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომ მოამბეც აღარ გაუშვიათ.

შემდეგ სპარსელებს თავიანთი დაჭრილ-დახოცილები მოუკრეფიათ ბრძოლის ველიდან, ხოლო ქართველები აღარც კი დაუმარხავთ და ისევე მიუტოვებიათ ნადირ-ფრინველთა საჯიჯგნად. მათ სანახავად კი მოჰყავდათ ცოცხლად დარჩენილი ფერეიდანელი ქართველები თურმე და ეუბნებოდნენ:

— აი, რა მოუვიდათ დიდებული შახინ-შახის ორგულებს. თუ რამეს გაბედავთ, თქვენც ასეთ დღეს დაგაყენებენო, — და დიდხანს აყურებინებდნენ, თუ როგორ სჯიჯგნიდნენ გარეული ნადირები, როგორ დაფარფატებდნენ გაუმაძღარი სვავები და გლეჯდნენ მათ მოძმეთა ცხედრებს.

მეტი რა ჯანი იყო? ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო. ყველა შეშინდა და იმის შემდეგ სამშობლოში გამოქცევაზე აღარ უფიქრიათ. ოღონდ თვითონ რომ აშკარად აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლოთ, სხვისი დახმარების იმედითღა იკვებებოდნენ — იქნებ ვინმემ გვიშველოსო, მაგრამ სად იყო მაშველი? [illegible] კი რაც შეეძლო იმათ მდგომარეობაში მყოფ ხალხს, მოზარდ თაობაში აღვივებდნენ სამშობლოს სიყვარულს. პირველ რიგში, იმ თავგანწირული პატრიოტების საქმე რომ არ წაშლილიყო მომავალ თაობათა ხსოვნაში, ასეთი საერთო სადღესასწაულო რიტუალი შემოიღეს:

ყოველი წლის თორმეტ ივლისს, ესე იგი, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სამიათასი ქართველი დაეცა საქართველოს საზღვარზე გადმოსვლისთვის ბრძოლაში, იმართებოდა სახალხო დღესასწაული — შეჯიბრი: „საქართველოს საზღვრებისაკენ“. საითაც სამშობლო ეგულებოდათ, ერთ საგანგებოდ ლამაზად მოწყობილ წალკოტში დადებდნენ ამ დღისათვის გამომცხვარ ერთ დიდ პურს, რომელსაც ჯვარი ჰქონდა გამოსახული — ეს საქართველოს, ესე იგი, მასაზრდოებელ დედას ნიშნავდა. შეარჩევდნენ კარგ მორბენალ ბიჭებს, რომლებსაც იმ წელიწადს უსრულდებოდათ თორმეტი წელი (ესეც იმ სამახსოვრო დღის, თორმეტი ივნისის სიმბოლო იყო), დააყენებდნენ წალკოტის სამხრეთით გარკვეულ მანძილზე გამოსაქცევად გამზადებულებს და მისცემდნენ ნიშანს. ბიჭები გამორბოდნენ „საქართველოსაკენ“ და ვინც პირველი მოვიდოდა, პურიც მისი იყო და იმ წლის გმირადაც ის ითვლებოდა.

საინტერესო ის არის, რომ გადმოცემით ამ რიტუალს თურმე იმ გმირების მოსაგონებლად დღესაც ასრულებენ ფერეიდანელი ქართველები. გამარჯვებულ მორბენალს კი ახლაც სიყვარულითა და იმედის თვალით შესცქერიან.

**სოსო იორამაშვილი**

ნახ. დ. ხახუტაშვილისა



ფრაზის გამეორება, ბაძავენ ადამიანის სიცილს, ავტომანქანების ხმაურს, ბავშვის ტირილს. მაგრამ ადამიანის სმენას ყოველთვის არ შეუძლია დაიჭიროს დელფინების მიერ გამოცემული ბგერები, ამისათვის აუცილებელია სპეციალური აპარატები. ჯონ ლილი იმედოვნებს, რომ დელფინები ადამიანის ერთგული თანაშემწეები გახდებიან ზღვათა სიღრმეების გამოკვლევის საქმეში.

### ყინვა და ნაკვები ძროხები

საფრანგეთში ჩატარებულმა ცდებმა დაამტკიცეს, რომ რაც უფრო ნაკვებია პირუტყვი, მით უფრო „ყინვაგამძლეა“ იგი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკვებში სახამებლის საჭირო რაოდენობას. გასუქებული ცხვარი მშვიდად იტანს 20 გრადუს ყინვას. მეწველი ძროხები არ საჭიროებენ დახურულ სადგომს მინუს 18 გრადუსზეც. გამოდის, რომ დათბუნული ბოსლების აშენების ნაცვლად, პირუტყვისათვის მეტი საკვების დამზადებაა უფრო გონივრული.

### სად იზამთრებენ ვირუსები

ბევრი ვირუსული დაავადება მხოლოდ განსაზღვრულ სეზონშია საშიში. რა მოსდით ვირუსებს წელიწადის დანარჩენ დროს?

უკანასკნელმა გამოკვლევებმა რამდენიმე საინტერესო ბიოლოგიური ციკლი გამოავლინეს. მაგალითად, ცხენის ერთ-ერთი ავადმყოფობის გამომწვევი ვირუსი მთელ ზამთარს გველის ორგანიზმში ატარებს. გაზაფხულზე, როცა გველი ზამთრის ძილისაგან იღვიძებს, ვირუსი გადადის მოხკიტებში, რომლებიც კბენენ გველს. თავის მხრივ, ამ მწერებს ძუძუმწოვრების, კერძოდ ცხენების ორგანიზმში გადააქვთ ვირუსი.

მეცნიერები ცდილობენ ზუსტად დაადგინონ ყოველი ვირუსის ციკლი, რის შემდეგაც უფრო ადვილი გახდება ვირუსულ ავადმყოფობებთან ბრძოლა.

### რადიო მგლების წინააღმდეგ

საინტერესო ხერხით ნადირობენ მგლებზე ჩრდილოეთ კანადაში. რომელიმე ცოცხლად დაჭერილ მგელს სპეციალურ საყელოს შეაბამენ, რომელზედაც რადიოგადამცემია გაკეთებული, და კვლავ თავისუფლად უშვებენ. რადიოგადამცემი სიგნალებს იძლევა, რის საშუალებითაც მონადირეები ადვილად არკვევენ, საით არის მგლის ხროვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი



**ვერტიკალურად:** 1. სახელმწიფო აზიაში; 2. ქალაქი ევროპაში; 3. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 4. ბუნებრივი ცხელი წყლის შადრევანი; 5. ხის ჯიში; 6. ისტორიული ადგილი საქართველოში; 18. ქალაქი ლატვიაში; 19. მდინარე ევროპაში; 20. კურორტი საქართველოში; 21. ქალაქი საქართველოში.

**ჰორიზონტალურად:** 7. ჩანჩქერი ამერიკაში; 8. მდინარე ევროპაში; 9. მდინარე საქართველოში; 10. უთვისტომო, მარტოდმარტო; 11. პირველი საბჭოთა კოსმონავტის სახელი; 12. გარეული ცხოველი; 13. დიდი ქართველი მწერლის სახელი; 14. იტალიის დედაქალაქი; 15. ალ. ყაზბეგის მოთხრობის გმირი; 16. გამზრდელი; 17. ქვანახშირის საბადოების დიდი ცენტრი სსრკ-ში; 22. შინაური ცხოველი; 23. მტაცებელი ფრინველი; 24. სამშენებლო მასალა; 25. სამკაციანი ანსამბლი; 26. კუბელი გმირი.

შეადგინა **მ. ლომთაძემ,**
თბილისის 47-ე საშ. სკოლის მე-8 კლ. მოსწავლე.

## ამოცანა

ბაბუა, შვილი და შვილიშვილი ერთად 110 წლის არიან. 10 წლის შემდეგ ბაბუა შვილზე ორჯერ მეტი ხნის იქნება, ასევე ორჯერ მეტი ხნის იქნება შვილი თავის შვილზე. ამოცანა გვეკითხება: რამდენი წლის იქნებიან ისინი 10 წლის შემდეგ ცალ-ცალკე?

**გ. გველესიანი**

# სიახლეები საგზაო-სასიგნალო ნიშნებში

ბევრი თქვენგანი კარგად იცნობს ქუჩაში მოძრაობის წესებსა და ამ წესების შესაბამის საგზაო-სასიგნალო ნიშნებს. მაგრამ ზოგი თქვენი ამხანაგი, შესაძლებელია, მოისუსტებდეს ამ საქმეში. ამის გარდა, ამ უკანასკნელ ხანს საგზაო-სასიგნალო ნიშნების სისტემაში მთელი რიგი ცვლილებანი და გაუმჯობესებებია შეტანილი. ამიტომ სასარგებლო იქნება თქვენთვის ვისაუბროთ საგზაო-სასიგნალო ნიშნებზე.

ჩემი თაობის ადამიანებს კარგად ახსოვთ ის დრო, როდესაც ქუჩაში აქა-იქ საჭაპანო ტრანსპორტი თუ გამოჩნდებოდა — ურემი თუ ეტლი, ფორანი თუ დილიჟანსი — ისიც მალე ჩაივლიდა და ქუჩა რამდენსამე ხანს ცარიელი რჩებოდა. იმ დროს, რა თქმა უნდა, არ იყო საჭიროება და არც არსად ჩანდა საგზაო-სასიგნალო ნიშნები და შუქნიშნები.

საქმე იმაშია, რომ ცხოვრება წინ მიდის, ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა რიცხვის გაზრდასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება ქუჩაში მოძრაობის მოწესრიგების ტექნიკა. 1960 წლამდე სულ 34 ნიშანი გვქონდა. ეს ნიშნები ჩვენ თავის დროზე დავბეჭდეთ ჟურნალ „პიონერის" ფურცლებზე და ვესაუბრეთ კიდეც ნორჩ მკითხველს. ბავშვებმა გულდასმით შეისწავლეს ისინი და შედეგიც კარგი გვქონდა: უკანასკნელი წლების მანძილზე შემცირდა ბავშვთა ტრავმატიზმი და უბედური შემთხვევები, ხოლო გაიზარდა ნორჩ მოტომოყვარულთა და ავტომოყვარულთა რიცხვი.

ამჟამად საგზაო-სასიგნალო ნიშნების რიცხვმა 34-დან 63-ს მიაღწია. ეს ნიშნები სტანდარტული, საყოველთაოა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით და დაახლოებულია საერთაშორისო სტანდარტთან. მათში, რა თქმა უნდა, ზოგი ძველი ნიშანიც შედის, მაგრამ ნიშნების ახალი კომპლექტი, მთლიანად აღებული, უფრო მოსახერხებელია. მათი ცოდნა უზრუნველყოფს მოძრაობის უსაფრთხოებას ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთათვის.

ყოველი თქვენგანი სასურველია იცნობდეს საგზაო-სასიგნალო ნიშნებს. შეისწავლეთ ისინი. მათი ცოდნა არა მარტო ქუჩაში მოძრაობის უშიშროებაში გაგიწევთ დახმარებას, არამედ ცხოვრების დიდ გზაზე გამოგადგებათ. რაც დრო გადის სულ უფრო და უფრო მეტად ვითარდება ჩვენი მრეწველობა, იზრდება ტრანსპორტი. თანდათანობით სულ უფრო მეტი რაოდენობით მოტოციკლს, მსუბუქ და საბარგო მანქანას გამოუშვებენ ჩვენი ქარხნები. უფრო მეტად გაიზრდება და გართულდება მოძრაობა. ამისათვის აუცილებელია კარგად ვიცნობდეთ საგზაო-სასიგნალო ნიშნებს.

**ვლადიმერ ნავროზაშვილი,**
მილიციის პოლკოვნიკი.

„ПИОНЕРИ" журнал ЦК ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина.
№ 1 1962 г. Тбилиси, пр. Плеханова, 91. Тел. 5—07—43
სსრკ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა «ნაკადული». რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 5-07-43
უე 00190 ტირ. [illegible] 000. პირ. ფორ. რაოდ. 4 1/2, ვიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 23/XII-61 წ. სტამბის შეკვ. 2067. გამომც. შეკვ. 860. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის
მე-3 «კომუნისტი». რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 20 კაპ.

# საგზაო სასიგნალო ნიშნები




ეროვნული ბიბლიოთეკა

